შემდეგი რუბრიკა არის ფოტოები. ჟურნალის მეორე ნომრის ამ ყველაზე მნიშვნელოვან რუბრიკაში დაიბეჭდა სარა ჯინ ანდერვუდის, პირველი ქართველი პლეიმიეტის („პლეიბოის“თვის მთავარი ქალი) იანა კოკოლინას, შორემა ბეგაშვილისა და მაგდა კროლიკოვსკას ფოტოები. მოდის რუბრიკაში წარმოდგენილი იყო ჯოზეფ დე ასეტისის „პლაჟზე დაბრუნება“, სადაც ნაჩვენებია ამერიკული „Playboy“-ს მოდის გურუს ყველაზე ცხელი ფოტოსესია.

რეცენზიების ნაწილში კი გამოსარჩევია ფილმების „კარიბის ზღვის მეკობრეების“ და „ოუმენის 13 მეგობარის“ რეცენზიები, ისევე როგორც, ლიტერატურული ნაწარმოებების საუკეთესო ეკრანიზაციების შესახებ გამოქვეყნებული მასალა. ასევე გვხვდება ერთგვარი ქვერუბრიკებიც, როგორებიცაა: მიქსი, შიშველი ფაქტები, ტექნო, მანქანები, სპორტი, VIP, ადგილი, კულინარია და მრჩეველი. ასევე საწყის გვერდებზე გამოქვეყნებული იყო „პლეიბოი“-ს პირველი ნომრის შემდეგ სხვადასხვა მედიასაშუალების მხრიდან გაკეთებული შეფასებები და თავად ჟურნალის რედაქციაში მკითხველის მიერ გამოგზავნილი წერილები. ჯამში, ჟურნალის მეორე ნომრის გვერდების რაოდენობამ 148 შეადგინა.

„კვირის ქრონიკა“-ში დაბეჭდილ სტატიაზე, ჟურნალის მეორე ნომრის რედაქტორის სვეტში ნიკო ნერგაძის გაცემულმა პასუხმა, როგორც ჩანს სერიოზულად გააღიზიანა გაზეთ „ალია“-ს რედაქცია და „პასუხის პასუხმაც“ არ დააყოვნა. ქვემოთ გთავაზობთ მცირე ნაწყვეტს 2007 წლის 2-3 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ გაზეთ „ალია“-ს რედაქციის საკმაოდ ვრცელი წერილიდან, რომელსაც საზოგადოებაში დიდი რეზონანსი მოჰყვა.

“გამოვიდა ქართული “ფლეიბოის” მეორე ნომერი. თუ წინა ნომერში მარტო გოგოები გააშიშვლეს, ახლა სიახლეა: თვით რედაქტორატიც ამოხტა ტანისამოსიდან. ქართული პლეიბოის პირველ ნომერს “კვირის ქრონიკამ” კრიტიკული სტატია მიუძღვნა და იუკადრისეს, ქოში წაღმა-უკუღმა ჰყარეს და ტანსაცმლიდან ამოხტნენ. ბოღმა მარაოსავით გაშალეს და დაიქნიეს-თავნი გაინიავეს. იუკადრისეს “ქრონიკის” შენიშვნა, რომ ჟურნალი არაპროფესიონალურად და პროვინციულადაა ნაკეთები.

..... მერე რა, რომ თავს იქებთ, პირველი ნომერი 19 000 ცალი გავყიდეთო (ტრაბახს “სოჩიკი” არ აქვს), ჩვენ მეტი გავყიდეთ, ვიდრე ყველა სხვა ქართულმა პრიალა ჟურნალმა ერთად აღებულმაო. ტირაჟით კი ბაქიბუქობთ, მაგრამ იმავე ნომერში წუწუნებთ, ფოსტით მარტო ორი კითხვა მოგვივიდა, დანარჩენი მეგობრებს გამოვძალეთო, როგორ ფიქრობთ, რას უნდა ნიშნავდეს 19 ათასმა კაცმა ჟურნალი იყიდა და იმ 19 ათასიდან 2-ის მეტმა რჩევა არ გკითხათ? მაან ავტორიტეტულად ჩაუთვლიხართ აი... ერთმა კიდევ წერილი მოგწერათ და ნინო ბურჯანაძის გატიტვლება მოგთხოვათ, იმედია ხვდებით, ვისთვისაც მუშაობთ...

ისე გააჭენეთ, რომ საზოგადოება სამ ნაწილადაც კი დაჰყავით: ერთი ის, ვინც გაიხადაო, მეორე ვინც ჟურნალი იყიდა მათ დასათვალიერებლად და მესამე, ვინც თქვა, პირველს არ უნდა გადაეღო და მეორეს არ უნდა დაეთვალიერებინაო, ჩვენ არც ერთ მაგ ფენას არ ვეკუთვნით, ტანიც მათია და ტანისამოსიც, უნდა ჩაიცვამენ, უნდა გაიხდიან, თუ უნდათ “პლეიბოიში” გადაიღონ, თუ უნდა გმირთა მოედანზე მიშას შადრევანთან იცეკვონ შიშვლებმა (გახალისდება მაინც ხალხი).

ახლა არც ნინა მყავს ქეთევან დედოფალი და არც შორენა - თამარ მეფე რომ მაგათ ქცევას გადამდები ხასიათი ჰქონდეს, ან ავისკენ, ან კარგისკენ. ვისაც უნდა, ათვალიეროს, თვალს წყალი დააღვეინოს, საქმე თქვენთან გვაქვს, მკითხველს ნუ ატყუებთ და იაფფასიანი ღლაბუცით და უცხოურიდან მოთოხნილ-მოთარგმნილი სტატიებით გამოჰყედილ ჟურნალს ნუ აპარებთ შიშველი ქალების სურათებთან ერთად.“ - წერდა გაზეთი „ალია“ 2007 წლის 2-3 აგვისტოს N-89 (2062) ნომერში (რედაქცია, 2007, გვ. 14).

მსგავსი შინაარსის სტატიები მრავლად იბეჭდებოდა იმ პერიოდის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, რასაც ყოველი შემდგომი ნომრის რედაქტორის სვეტში ეხმიანებოდა ნიკო ნერგაძე. მაგალითისთვის, „პლეიბოი“-ს მესამე ნომერში იგი შემდეგს წერდა - „მგონი ჩაცხრა ჩვენი ჟურნალის პირველი ორი ნომრით გამოწვეული აჟიოტაჟი. კარგია, ჩვენი თეთრი და შავი ახლა, მესამე ნომრიდან გამოჩნდება. ჩვენც ვცდილობთ, რომ კარგი გამოჩნდეს.

ჩვენი ჟურნალის ირგვლივ ატეხილმა დისკუსიამ კარგი საქმეც გაგვიკეთა და ცუდიც. კარგი ის იყო, რომ საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოვექცეთ და, შესაბამისად, ნომრებიც კარგად გაიყიდა. ცუდი კი ის აღმოჩნდა, რომ დისკუსია ძირითადად გახდა-არგახდის საკითხის გარშემო ტრიალებდა. თემა თავისთავად კი საინტერესოა, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ჩვენი ჟურნალი მეტია, ვიდრე მხოლოდ ეროტიკული ფოტოები.“ (ნერგაძე, 2007).

ჟურნალის მესამე ნომერი წინა ორისგან გამორჩეული იყო იმ მხრივაც, რომ სწორედ აქ დაიბეჭდა პირველი ქართული ინტერვიუ, რომლის რესპონდენტიც ცნობილი ქართველი მსახიობი და შოუმენი დუტა სხირტლაძე აღმოჩნდა. ამავე ნომერში გვხვდება რობერტ კალანდაძისა და კახა ბარამიძის მიერ თარგმნილი სტატიები „ნამდვილი ნათლიას შურისძიება“ და „ხუთი მკვლელის ისტორია“. მხატვრული ლიტერატურის რუბრიკაში იბეჭდება მწერალ გელა ჩქვანავას მოთხრობა „ცალმხრივი სისხლიანი კავშირები“.

რუბრიკის „20 შეკითხვა“ სტუმარი ჟურნალისტი ინგა გრიგოლია გახლდათ. ჟურნალის ამავე ნომერში დაიბეჭდა იმ დროისთვის პოპულარული ქართული რეალითი შოუ „ჯეობარი“-ს მონაწილის ფსევდონიმით „მულატკა“-ს პიკანტური ფოტოები, ისევე როგორც მომღერალ თამთა ქელიძისა და სამი ტყუპისცალი დის ოჯაიოდან. მოდის რუბრიკა დაეთმო ჯოზეფ დე ასეტისის მიერ ახალ მიმდინარეობაში „Mode to Measure“ მამაკაცის ხაზის განხილვას.

მუსიკის რეცენზია დაეთმო ჯგუფის „White Stripes“-ის იმ პერიოდისთვის ბოლო ალბომს. კინოს - დევიდ კრონენბერგის თრილერს რუსული კრიმინალური დაჯგუფებების შესახებ. წიგნების - ლიტერატურულ კონკურს „Penმარათონის“ დროს დაწერილ საუკეთესო ზღაპრებს, ასევე აკა მორჩილაძის ნაწარმოებ „Maid in Tiflis“-სა და პატრიკ ზიუსკინდის სამი მოთხრობის ახალ თარგმანებს. თამაშების რეცენზია კი კოლინ მაკრეის ახალ რალი-ს და ტრანსფორმერებს. აგრეთვე იმ თამაშებს, რომელთა გამოსვლასაც იმ დროისთვის სულმოუთქმელად ელოდებოდნენ. ჟურნალის მესამე ნომრის გვერდების რაოდენობამ 114 შეადგინა.

ჟურნალის მეოთხე ნომერი 2007 წლის ოქტომბერში გამოვიდა, რომელიც როგორც აღმოჩნდა უკანასკნელი იყო ნიკო ნერგაძისათვის მთავარი რედაქტორის რანგში. იგი თავის ბოლო რედაქტორის სვეტში წერდა - „ვცდილობთ, რომ ჩვენი ჩვენი „პლეიბოი“ მაქსიმალურად ქართული გავხადოთ, მაგრამ, ამავე დროს, როდესაც კარგ სტატიას ან ინტერვიუს წავაწყდებით, არც იმისი გაშვება გვინდა ხელიდან. გვგონია, რომ ჟურნალში ბევრია წასაკითხიც და დასათვალიერებელიც. გადაფურცლეთ და დატკბით.“ (ნერგაძე, 2007).

ოქტომბრის ნომერში რედაქციამ შემოგვთავაზა ვრცელი ინტერვიუ პოეტ ვახუშტი კოტეტიშვილთან. სტატიების რუბრიკაში დაიბეჭდა გიორგი ჯანელიძის „ბითლომანის ჩანაწერები შერიდანიდან მაკარტნიმდე“, ბლოგერ მირიან ტორონჯაძის „რეზერვისტის დღიური“, კახა ბარამიძის „ეროგენული ზონები“, გიორგი მეტრეველის „სილამაზის ფასი“ და გელა ვადაჭკორიას „ყველაზე ძვირიანი მანქანები“.

ჟურნალში დაბეჭდილი იყო ანია მიხალიკის, სოფია კენჭიაშვილისა და პატრის ჰოლისის ფოტოსურათები. მხატვრული ლიტერატურის რუბრიკაში გამოქვეყნდა ბესო ხვედელიძის მოთხრობა „კალიფსოს გამოქვაბული“. ამერიკელი მულტიპლიკატორისა და მწერლის, მეტ გრენინგის პასუხები დევიდ ჩევის მიერ მისთვის დასმულ 20 შეკითხვაზე თარგმნა ლელა სერებრიაკოვამ. წინა ნომრების ანალოგიურად არის დასათაურებული და განლაგებული სხვა რუბრიკებიც, სადაც არაერთი საინტერესო მასალაა თავმოყრილი. რიგით მეოთხე ანუ ოქტომბრის ნომერი 122 გვერდისგან შედგებოდა.

ქართული „პლეიბო“-ს მეხუთე ნომერი ამჯერად თვის ჩაგდების გარეშე 2007 წლის ნოემბერში იხილა მკითხველმა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჟურნალს ამ ნომრიდან შეეცვალა მთავარი რედაქტორი და ნიკო ნერგაძე ჩაანაცვლა ლევან რამიშვილმა. სწორედ ეს უკანასკნელი თავის პირველ რედაქტორის სვეტში აღნიშნავდა - „შეიძლება ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ (მოგონილ თავმდაბლობას ისევ ჯანსაღი ამბიციურობა სჯობს) ჩვენ გვინდა, რომ „პლეიბო“ კულტურის მოვლენა გახდეს და არა რიგითი გასართობი, ანუ მოწყენილობის ჟამს „დროის მოსაკლავი“ ჟურნალი. ტრადიციულად, „პლეიბო“ იმ მკითხველისთვისაა, რომელსაც ცხოვრების, სიახლის არ ეშინია. სხვანაირად რომ ვთქვათ - დრო კი არ უნდა მოვკლათ, უნდა გავაცოცხოთ! გპირდებით, რომ მხოლოდ ამით ვიქნებით დაკავებულნი.“ (რამიშვილი, 2007).

ნოემბრის თვის ნომერში თარგმნილია ოსკაროსან რეჟისორთან რობერტ რედფორდთან მწერალ დევიდ ჰოჩმანის მიერ ჩაწერილი ინტერვიუ. ქართველებიდან კი რესპონდენტად გვევლინება მსახიობი გოგა პიპინაშვილი. საკმაოდ საინტერესო სტატია ეკუთვნის გია მეტრეველს, სახელწოდებით „სასიამოვნო ღილაკი ადამიანის ტვინში“. აღნიშნული პუბლიკაცია არის იმაზე, თუ როგორ აღმოაჩინეს მეცნიერებმა ვირთხის ტვინში ე.წ. „სასიამოვნო ღილაკი“, როგორ ეგონათ, რომ კაცობრიობამ, როგორც იქნა მიაგნო ბედნიერების წამალს და რა მოხდა ამის შემდეგ.

ზოგადად ნომრის მთავარ თემატიკას წარმოადგენს რთველი და ღვინო. შესაბამისად დიდი ადგილი ეთმობა უნიკალურ ფაქტებს ქართული ღვინის შესახებ. ასევე, რეჟისორი, მხატვარი და დიზაინერი მალხაზ რუსაძე მკითხველს სთავაზობს ორიგინალურ იდეებს, თუ როგორ შეიძლება დაიგეგმოს ქართული ღვინის რეკლამა მსოფლიოს მასშტაბით. მხატვრული ლიტერატურის რუბრიკაში დაბეჭდილია ცნობილი ქართველი ფერმწერის ავთო ვარაზის შვილიშვილის ლევან ვარაზის პარადოქსული მოთხრობა. აღნიშნული ნომერი ყველაზე მცირე მოცულობითია აქამდე გამოცემულთა შორის და შედგება სულ რაღაც 111 გვერდისაგან.

ამასობაში მედიასივრცეში არსებულმა მწვავე გამოხმაურებებმა თავისი როლი მაინც ითამაშა და ჟურნალს სულ უფრო მეტად უჭირდა ქართველი გოგონების დათანხმება ფოტოსესიებისათვის. ბევრი მათგანი საკმაოდ მაღალი ანაზღაურების სანაცვლოდაც კი უარს ამბობდა საკუთარი ფოტოების „პლეიბო“-ში დაბეჭდვაზე. შესაბამისად, ნომრების გამოსვლაც გვიანდებოდა, იმის მიუხედავად, რომ ჟურნალის ტირაჟი თითქმის სრულად იყიდებოდა. მაგალითად, დეკემბერში დაგეგმილი რიგით მეექვსე ნომერი სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო 2008 წლის იანვარში გამოვიდა.

იანვრის ნომრის თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, თუმცა ბუნებრივია ახალი წლის განწყობა მკვეთრად იგრძნობოდა. მაგალითისთვის, ინტერვიუს რუბრიკის სტუმრები იყვნენ ერთი მხრივ ცნობილი ამერიკელი მსახიობი ჯიმ ქერი, მეორე მხრივ კი ქართველი პოლიტოლოგი და დიპლომატი ალექსანდრე რონდელი. პროზაში დაბეჭდილი იყო ბაჩო კვირტიას სპეციალურად ქართული „პლეიბო“-სთვის დაწერილი საახალწლო მოთხრობა „ადელინას ფაბერჟე“.

სტატიების რუბრიკაში გვხვდებოდა, „მიშლენის მსოფლიო კატალოგი და მასში თბილისის რესტორნების რეიტინგი“, „ყველაზე უცნობი და უცნაური ჰოროსკოპები“, „სექსი ქართულ ლიტერატურაში“ და სხვა. წინა ნომრებთან შედარებით, მეტი მოცულობით იყო წარმოდგენილი ეროტიკული ანეკდოტების ჩანართიც, რომელიც ამჯერად სრულად ახალი წლის თემატიკაზე იყო შედგენილი.

აგრეთვე, ჟურნალის რამდენიმე გვერდი დაეთმო მმართველობის ფორმებით ქვეყნების დახასიათებას. განხილული იყო კონსტიტუციური მონარქია, აგრეთვე საპარლამენტო და საპრეზიდენტო მოწყობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. იანვრის გამოცემის ბოლო გვერდებზე აღწერილი იყო ღამის კლუბში „ტიფლისი“ გამართული “PLAYBOY წვეულება”, სადაც მიწვეული იყვნენ როგორც ჟურნალში აქამდე დაბეჭდილი გოგონები, ისე საზოგადოებისთვის სხვა ნაცნობი სახეებიც. ბოლოსწინა, რიგით მეექვსე, იანვრის თვის ნომერი ჯამში 112 გვერდისაგან შედგებოდა.

ჟურნალ „პლეიბოი“-ს ქართული გამოცემისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა, რიგით მეშვიდე, 2008 წლის თებერვალ-მარტის ნომერი, სადაც გვხვდებოდა რეჟისორ ლევან წულაძესთან ჩაწერილი საკმაოდ ვრცელი და საინტერესო ინტერვიუ. ლიტერატურის რუბრიკაში წარმოდგენილი იყო ჩარლზ ბუკოვსკის მოთხრობა „ტეხასის საროსკიპოებში“, რომელიც ქართულად ირაკლი ჯავახაძემ თარგმნა.

ნომრის გამოსვლის შემდეგ, საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა ერეკლე გრიგოლიას სტატიას „სექსუალური რევოლუცია“, რომლის წინასიტყვაობაშიც ავტორი შემდეგს წერდა: „ამ წერილიდან შეიტყობთ ყველაფერს სექსუალური რევოლუციის შესახებ და ძალაუვნებურად თქვენც იკითხავთ - ყველა რევოლუციამ ჩვენზე რომ გადაიარა, რაღა ამ სექსუალურმა რევოლუციამ აგვიქცია გვერდი ქართველებს?“ (გრიგოლია, 2008).

ამავე ნომერში დაიბეჭდა გიორგი ჯანელიძის სტატია სახელწოდებით, „როგორ და რატომ გააძევეს შოუბიზნესიდან და თვით ცხოვრებიდან მაიკლ ჯექსონი?“. პუბლიკაციაში საუბარი იყო მეგავარსკვლავის ცხოვრებისა და უცრად გაკოტრების უცნაურ დეტალებზე. კიდევ ერთი მსოფლიო ვარსკვლავი, რომელსაც თებერვალ-მარტის გამოცემაში ადგილი დაეთმო მერლინ მონრო აღმოჩნდა. მსახიობის ცხოვრების საინტერესო დეტალებზე დაწერილი ლიზა დე ჰალოს სტატია ქართულად ვახტანგ იაშვილმა თარგმნა.

ქართული „პლეიბოი“-ს მეშვიდე ნომერს წინა ექვსისგან დახვეწილი გრაფიკული დიზაინი და შიგთავსის ორიგინალური კონტენტი განასხვავებდა. თითქოს, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ყოველთვიურად ჟურნალის დიზაინერები სულ უფრო მეტად პროფესიონალები და გაცილებით კრეატიულები ხდებოდნენ. ასევე, რითაც გამოირჩა ჟურნალის ბოლო ნომერი აქამდე გამოცემულებისგან იყო ის დიდი სკანდალი, რომელიც გამოიწვია, ქართველი ფლეიმეიტი გოგონას, მაკო კობერიძის შიშველი ფოტოების გამოჩენამ, რომელიც იმ პერიოდში მხოლოდ 18 წლის იყო. თებერვალ-მარტის გამოცემა, წინა ნომრის მსგავსად 112 გვერდისაგან შედგებოდა.

ქართულ „პლეიბოი“-ს არსებობის პერიოდში კონკურენციას ერთდროულად რამდენიმე ადგილობრივი გამოცემა უწევდა. ესენი იყვნენ, „მაქსი“, „სექს დაიჯესტი“, „ინტიმი“, „მინ-მინი“, „ფლირტი“ და სხვა. აღნიშნული ჟურნალ-გაზეთების ფასი „პლეიბოი“-სთან შედარებით ბევრად მოკრძალებული იყო და საშუალოდ 50 თეთრის ფარგლებში მერყეობდა. თუმცა, ღირებულებაზე გაცილებით დიდი სხვაობა იყო ხარისხში. ზემოთ ჩამოთვლილი ინტიმური ხასიათის გამოცემები თხელ და შავ-თეთრ ფურცლებზე იყო დაბეჭდილი. ხშირ შემთხვევაში მასზე დატანილი ფოტოების სრულყოფილად აღქმაც კი შეუძლებელი იყო.

ზემოთ ჩამოთვლილ ადგილობრივ გამოცემებში, მკითხველს საშუალება ჰქონდა წაეკითხა ინტერვიუები ბრედ პიტთან, ლეონარდო დიკაპრიოსთან, ადრიანო ჩელენტანოსთან, ტომ კრუზთან, დევიდ ბეკჰემთან, შაკირასთან და სხვა ცნობილ ადამიანებთან. გარკვეულ ნაწილს ასევე ჰქონდა გაცნობის რუბრიკაც, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო გაეგზავნა საკუთარი თავის დახასიათება, მოკლე ბიოგრაფიასთან და საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად, შემდეგ კი დალოდებოდა მისით დაინტერესებული პიროვნების გამოხმაურებას.

შემეცნებით-გასართობი გაზეთის „ფლირტი“-ს ფასი 20 თეთრი იყო და მასში იბეჭდებოდა ისტორიები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ გოგონებზე, რომლებიც საკუთარი თავისუფალი ცხოვრების სტილის გამო, მუდმივად დამცირებისა და ბულინგის ობიექტები იყვნენ. ბუნებრივია ამ ისტორიების ავთენტიკურობა ვერ დასტურდება და შესაძლოა სულაც რედაქტორის ფანტაზიის ნაყოფიც კი ყოფილიყო.

სრულად პორნოგრაფიულ კონტენტს შეიცავდა გაზეთი „ქართული ფლეიბოი“. აქ იბეჭდებოდა ქართველი და უცხოელი მოდელების შიშველი ფოტოები. მკითხველს საშუალება ჰქონდა წაეკითხა შოუბიზნესის უცხოელ წარმომადგენლებთან ჩაწერილი ინტერვიუები, რომელთა დიდი ნაწილიც ეროტიკული შინაარსის იყო. აქვე აღვნიშნავ, რომ გაზეთს საერთო არაფერი ჰქონდა ჟურნალ „პლეიბოი“-სთან ან მის ქართულ გამოცემასთან.

გაზეთებისგან განსხვავებით, შედარებით ხარისხობრივი იყო იმ პერიოდში გამოცემული ჟურნალები, „ინტიმი“, „მინ-მინი“ და „მაქსი“. ამ უკანასკნელის მთავარი რედაქტორი გელა უშარიძე იყო. „მაქსი“ ძირითადად მამაკაცებისათვის განკუთვნილი ჟურნალი იყო და სხვა კონკურენტებთან შედარებით მრავალფეროვანი თემატიკა ჰქონდა. აქ შეხვდებოდით სტატიებს სპორტზე, ხელოვნებაზე, სექსზე, სასმელზე, გართობაზე, აზარტზე, იარაღზე და ასე შემდეგ. გარეკანზე კი ხშირ შემთხვევაში გამომწვევად ჩაცმული ქალების ფოტოები იყო განთავსებული პროვოკაციულ სათაურებთან ერთად.

სხვა ჟურნალ-გაზეთებისგან განსხვავებით, „მაქსი“-ს თემატიკა ძირითადად ქართული გახლდათ და მასში დაბეჭდილი ინტერვიუებიც სწორედ ქართველ მოდელებთან, მსახიობებთან ან შოუბიზნესის წარმომადგენლებთან იყო ჩაწერილი. ჟურნალ „პლეიბოი“-ს მსგავსად, „მაქსიც“ არაერთხელ მოხვედრილა კრიტიკის ქარ-ცეცხლში სხვადასხვა სატელევიზიო ე.წ. თოკ-შოუებისა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემების მხრიდან. ჟურნალის მისამართით კრიტიკულ განცხადებებს ავრცელებდნენ სასულიერო პირები და რელიგიური ორგანიზაციები.

რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს: „გამოვთქვამთ უკიდურეს აღშფოთებას ჩვენს ქალაქში შექმნილი მდგომარეობის გამო: ქალაქი მიაქვს პორნოგრაფიას, გამოფენილია ათასგვარი უხამსი ჟურნალი და გაზეთი, რაც მავნე ზეგავლენას ახდენს მოზარდ თაობაზე, რაც შეურაცხყოფს მართლმადიდებელ მოსახლეობას, ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს. მაგალითისათვის გაწვდით ჟურნალებს, „მაქსი“ და „სექსტაზი“, გაზეთს „პაემანი“. ნუთუ ეს ინდუსტრია უკონტროლოდაა მიშვებული, ნუთუ სახელმწიფო უძლურია, ან არ უნდა, რომ დაიცვას მოზარდი თაობა, მისი მოქალაქეები უხამსობისაგან, გარყვნილებისაგან.

გთხოვთ მიიღოთ გადამჭრელი ზომები, რათა აღიგავოს ჩვენს თვალთაგან უხამსი გამოცემები. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება, მართლმადიდებელი მრევლი თავად შეეცდება აღკვეთოს ეს ძალადობა, ეს სულიერი აგრესია, მიმართული ჩვენი შვილებისაკენ, ჩვენი ერისაკენ“ (შათირიშვილი, 2019).

კვლევის შედეგები

საერო და სასულიერო პირების მხრიდან გაკეთებულმა ნეგატიურმა განცხადებებმა, პრესაში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა და სატელევიზიო ეთერში გასულმა გადაცემებმა შედეგი გამოიღო. მსგავსი თემატიკისა და კონტენტის ჟურნალ-გაზეთებს მკითხველი შემოაკლდა. შემცირდა რეკლამის განთავსების მსურველთა რაოდენობაც, რამაც ეტაპობრივად მათი ტირაჟის მნიშვნელოვანი შემცირება, ბოლოს კი დახურვა გამოიწვია.

მართალია, იმ პერიოდში ოფიციალურად ამასთან დაკავშირებით სიღრმისეული და სანდო სოციოლოგიური კვლევა არავის ჩაუტარებია, მაგრამ, სავარაუდოა, რომ ქართული საზოგადოების უმრავლესობა მენტალურად მზად არ აღმოჩნდა მიეღო ისეთი თემატიკისა და შინაარსის ბეჭდური გამოცემა, როგორიც „პლეიბოი“ იყო. შესაბამისად, მსოფლიოში აღიარებულმა ამ საერთაშორისო მედიაგიგანტმა ქართულ მედიასივრცეში თავი ვერ დაიმკვიდრა.

ჟურნალის ქართულენოვანი რედაქციის დახურვას და გამოცემის შეწყვეტას, საზოგადოებაში ისეთივე არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, როგორც, რამდენიმე თვით ადრე მის დაარსებას. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს მამლევს, იმ პერიოდის სხვადასხვა ქართულ ინტერნეტ ფორუმზე გაკეთებული შეფასებებისა და კომენტარების გაცნობა, სადაც, საზოგადოების ერთი ნაწილი სიხარულს ვერ მალავდა ამ ფაქტით და თავს გამარჯვებულად თვლიდა, მეორე კი საოცრად გულდაწყვეტილი იყო, რომ მსოფლიო “PLAYBOY”-ს რუკაზე საქართველო ვერც ამჯერად მოიწიშნა და კვლავ ქართულ ენაზე გამოცემული ერთით ნაკლები საერთაშორისო მედიაბრენდი რჩებოდა ქვეყანაში.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო მედიაბრენდების გარკვეული ნაწილი ქართულ მედიასივრცეში შემოსვლამდე არ ატარებს ადგილობრივი ბაზრის სოციოლოგიურ კვლევას, რათა განხორციელდეს აუდიტორიის

შესწავლა, რომ მათი მენტალიტეტისა და მოთხოვნების გათვალისწინებით მოხდეს შესაბამისი მედიაკონტენტის შექმნა. შესაბამისად, ის კონტენტი, რომელიც ვერ ერგება ადგილობრივი მკითხველის მენტალიტეტს, განწირულია წარუმატებლობისთვის. ასე მოხდა ჟურნალ „პლეიბოი“-ს შემთხვევაშიც.

ქართულ მედიასივრცეში „პლეიბოი“-ს გამოჩენას საზოგადოებაში თავიდანვე არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. მკითხველთა გარკვეული ნაწილი დიდი ხანი ელოდა ჟურნალის ნანატრი პირველი ნომრის გამოსვლას. მეორე ნაწილი კი ინფორმაციის გავრცელებისთანავე გაღიზიანდა და დაიწყეს ერთგვარი ბრძოლა მის წინააღმდეგ. ქართულ „პლეიბოი“-ს ყურადღების ცენტრში ყოფნა არც მედიისაგან დაჰკლებია. განსაკუთრებული კრიტიკულობით გამოირჩეოდნენ გაზეთები, „ალია“, „კვირის ქრონიკა“, „საქართველოს რესპუბლიკა“ და „ასავალ-დასავალი“.

ბეჭდური პრესის ფურცლებზე დაწყებული ერთგვარი ბრძოლა მალევე მოედო სატელევიზიო ეთერებსაც. ბევრისთვის დასამახსოვრებელი იყო ინგა გრიგოლიას თოკ-შოუ, სადაც სტუმრებად მოწვეულნი იყვნენ ხათუნა ჟორდანიას, ლელა წურწუმიას, ხატია სიჭინავა და ჯონდი ბალათურია. გადაცემის ყველა სტუმარი ერთმანეთზე უფრო მეტი მონდომებით აკრიტიკებდა ჟურნალის ქართულ მედიაბაზარზე შემოსვლას. ზოგიერთი მათგანი კი მის დაუყოვნებლივ დახურვასაც მოითხოვდა.

დასკვნა

საზოგადოებისა და მედიის გარკვეული ნაწილის მხრიდან დაწყებულმა ანტიპიარულმა საინფორმაციო კამპანიამ შედეგი მალევე გამოიღო. სულ უფრო მეტად უჭირდა ჟურნალის რედაქციას იმ ადამიანთა პოვნა და დათანხმება, ვისი შიშველი ფოტოებიც უნდა დაბეჭდილიყო მის ფურცლებზე. ვინაიდან, ყოველი ნომრის გამოსვლის შემდგომ მასში დაბეჭდილი ქართველი გოგონები მუდმივად შეურაცხყოფისა და დაცინვის ადრესატები ხდებოდნენ. კომპლექსი გაუჩნდა ჟურნალის მყიდველსაც, რადგანაც, პრესის ჯიხურში მისი შემენისას, ისინი ხშირად ხდებოდნენ გამყიდველის ან იქვე მდგომი პირის ქილიკის ობიექტი.

ყოველივე ამისდა მიუხედავად, ჟურნალის საწყისი ნომრების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ტირაჟი, რედაქციის მიერ იმავე პერიოდში გავრცელებული ინფორმაციით, თითქმის სრულად იყიდებოდა. ეს კი გარკვეულწილად, მთავარი რედაქტორის, ნიკო ნერგაძის დამსახურებაც იყო, რადგანაც მისი რედაქტორის სვეტი ძალიან მოსწონდა ერთგულ მკითხველს. მას შემდეგ კი რაც ბევრისთვის მოულოდნელად მთავარი რედაქტორი შეიცვალა, რედაქტორის სვეტის ხარისხმაც, ამას პირველ რიგში თავად მკითხველი ამჩნევდა და აღნიშნავდა.

ქართული „პლეიბოი“-ს წარუმატებლობაში გარკვეული როლი ითამაშეს კონკურენტმა ჟურნალ-გაზეთებმაც. მართალია ხარისხობრივად ისინი კონკურენციას ვერ უწევდნენ მსოფლიო გიგანტის ლოკალურ გამოცემას, მაგრამ ფასით და მიმსგავსებული კონტენტით, მაინც შეძლეს მისთვის მკითხველთა გარკვეული რაოდენობის წართმევა. თანაც ეს ჟურნალ-გაზეთები „პლეიბოი“-სგან განსხვავებით ბევრად უფრო მეტი სიხშირითა და სტაბილურობით გამოდიოდა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილმა გარემოებებმა, ჟურნალის სტაბილურად გამოცემაზეც უარყოფითად იმოქმედა. გარკვეულ თვეებში იგი სულ არ გამოსულა, ზოგჯერ კი ორი თვის ერთად გამოდიოდა, რაც მკითხველში უკმაყოფილებას იწვევდა. საბოლოო ჯამში, ქართულმა “პლეიბოიმ” სულ რაღაც ათი თვე იარსება. ამ დროის განმავლობაში შეიცვალა მთავარი რედაქტორი, ჟურნალის სარეალიზაციო ღირებულება ერთი ლარით შემცირდა, ტირაჟმაც საგრძნობლად მოიკლო და საბოლოო დახურვამდე მხოლოდ შვიდი ნომრის გამოცემა მოესწრო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bennett, J. (2019). Will the Millennials Save Playboy? The New York Times.
2. Gibson, K. (2020). Coronavirus kills 66-year-old Playboy. CBS News.
3. Puzanghera, J. (2018). Playboy is considering ending its print magazine, report says . Los Angeles Times.
4. Rhodes, M. (2015). Playboy's Logo is What Matters — It Earns More Than Nudes Do .
5. WIRED.
6. Tungate, M. (2004). Media Monoliths. London: Kogan Page Limited.
7. გრიგოლია, ე. (2008). სექსუალური რევოლუცია. პლეიბოი.
8. ნატროშვილი, ლ. (2007). ვანახოთ მსოფლიოს ქართული ჯიგრიანი ძუძუები?! კვირის ქრონიკა, 14-15.
9. ნერგაძე, ნ. (2007, June). რედაქტორის სვეტი. PLAYBOY, 1, 7.
10. რამიშვილი, ლ. (2007). რედაქტორის სვეტი. PLAYBOY, 9.
11. რედაქცია, გ. (2007). წერილი. ალია, 14.
12. შათირიშვილი, ბ. (2019, October 22). ეროვნული პორნოგრაფიის ქრონიკები. Retrieved from Liberali.ge: <https://liberali.ge/articles/view/46468/erovnuli-pornografiis-qronikebi>

Challenges and peculiarities of integration of international media brands with the Georgian media space on the example of “FORBES” magazine

Davit Dolidze

PhD Candidate of Mass Communication

Caucasus International University Tbilisi, Chargali str. N 73

+995597115578

Davit.dolidze@ciu.edu.ge

<https://doi.org/10.61950/giu.1.2025.9302>

Abstract

Successful international media outlets try their best to cover as many countries as possible and establish their own local editorial offices. Many of them do this successfully, however, there are often cases when the work of local editorial offices turns out to be unsuccessful.

Some of the content of foreign media outlets turned out to be incompatible with the Georgian media space, which significantly hindered their operation on the media market. Since Georgia gained independence, a number of foreign news outlets have attempted to establish their own local editorial offices, however, several of them were soon closed.

The aim of the scientific research is to determine the functions, history, development trends, specifics, authors and goals, methods and forms of its entry into the Georgian media space of a specific international media brand. Also, using the example of the magazine “PLAYBOY”, we will learn and analyze what reasons and circumstances may lead to the closure of Georgian editorial offices of international media outlets.

While working on this publication, in order to achieve the goals of the research topic, it became necessary to use various qualitative and mixed-type research methods. In total, I used five methods. I found that the above methods were quite relevant for an in-depth study of the research issue and significantly simplified the provision of answers to the research questions posed in the work. In particular, these methods are: case study, historical analysis, critical discourse, comparative and content analysis methods.

Using a case study, the reasons for the failure of the Georgian editorial office of “PLAYBOY” magazine were studied and analyzed. Using the historical analysis method, I analyzed the important trends in the establishment and further development of one specific international media brand, “PLAYBOY” magazine, in the past decades and how it was transformed with the advent of the era of globalization.

I used the critical discourse method when analyzing various professional scientific literature related to the research paper. Using the comparative analysis method, I compared the Georgian edition of “PLAYBOY” with its original, American one. The content analysis method helped me to study and characterize both

the informational and visual content of the Georgian editions of the international media brand reviewed in the study.

The use of the approaches and methods presented in the research helped me to present the issue under study in a diverse and interesting way, so that not only the scientific community, but also anyone interested in the topic in general, could understand and correctly perceive the issues. I also believe that the work will contribute to the diversity of knowledge surrounding the topic and the activation of scientific discussions.

It is very interesting to study the main trends in the development of media outlets in general under the conditions of globalization. Also, how the conceptual models of international media brands are transformed into Georgian reality. It is precisely these issues that determine the relevance of the research topic. The characteristics, principles of famous foreign media brands, the forms and methods of their establishment in foreign media space (on the example of Georgia) have not been studied in depth by modern media researchers.

The scientific approaches used in the article to study the problem of establishing the largest and most successful media brands in the foreign media space include a broad contextual study of many aspects and facets of the issue, and a conceptual analysis. It is particularly important to observe, through the scientific apparatus, the processes of how the conceptual models of international media brands are transformed into Georgian reality, and what specific features and characteristics distinguish this process.

Keywords: International media brands; PLAYBOY magazine; Transnational media corporations; Georgian media space; Local editorial offices.

ახალგაზრდობის თემატიკა ქართულ რეგიონულ რადიოში (რადიო „ათინათის“ მაგალითზე)

მარიამ მარღია

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. №73

mariam.margia@ciu.edu.ge

DOI: <https://doi.org/10.61950/giu.1.2025.9303>

აბსტრაქტი

დღეს საქართველოს მედიაბაზარი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტრადიციულ მედიასთან ერთად მრავლადაა საინფორმაციო სააგენტოები თუ ინფორმაციული ბლოგები. მედიასაშუალებათა სიმრავლის მიუხედავად, დომინანტობას ცენტრალური (დედაქალაქური) მედია ინარჩუნებს. მას ბიუჯეტი და რეიტინგი მაღალი აქვს, ამ ფონზე კი რეგიონულ მაუწყებლებს საკმაოდ შეზღუდული ფინანსური თუ ადამიანური რესურსით უწევს ფუნქციონირება.

ლოკალურ მედიას სპეციფიკური, ადგილობრივი თემებით შეუძლია საკუთარი აუდიტორიის უზრუნველყოფა. ხელსაყრელი მდებარეობა შესაძლებელს ხდის ოპერატიულად და მაქსიმალური დატვირთვით გაშუქდეს ადგილზე მიმდინარე სხვადასხვა საინტერესო ღონისძიება თუ ყოველდღიური აქტივობა. აღნიშნული კი კონკრეტულ რეგიონში მცხოვრები თუ ზოგადად მიმდინარე მოვლენებით დაინტერესებული აუდიტორიისთვის სიახლეების გასაგებად კომფორტული საშუალებაა.

მედია მისი მასობრიობით, აუდიტორიის მრავალფეროვანი ინტერესების გათვალისწინებითა და გამოხატვის ფორმებით გამოირჩევა. ინტერნეტის განვითარებამ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება წარმოდგენილად სწრაფი და კომფორტული გახადა. ამიტომაც ე.წ. გაჯეტებზე საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების დამოკიდებულება, პოპულარულს ხდის მოსაზრებას, რომ ტრადიციულ მედიას აუდიტორიის ეს ნაწილი სულ უფრო მეტად შორდება. ახალგაზრდები საზოგადოების განსაკუთრებით საინტერესო, მრავალფეროვანი და მუდმივად განვითარებისკენ ორიენტირებული ნაწილია. ამიტომაც მედიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა აუდიტორიის შენარჩუნება, მათი ინტერესების და მისწრაფებების გამოვლენა და გათვალისწინება.

იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში მაღალია შიდა თუ გარე მიგრაცია, საჭიროა მედიამ აქტიურად და ხშირად ისაუბროს კონკრეტულ რეგიონებში არსებულ პრობლემებსა და ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებზე. საკითხების მოგვარების გზების ძიებისას საინფორმაციო ველის

ათვისება მომგებიანი გზაა.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია, რადიო „ათინათის“ მაგალითზე წარმოაჩინოს ახალგაზრდებისთვის საინტერესო საკითხების, მათ წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გაშუქების მნიშვნელობა. გამოიკვლიოს ამზადებს თუ არა „ათინათი“ გადაცემებს ან/და რუბრიკებს ადგილობრივი ახალგაზრდების შესახებ. რა დრო ეთმობა და პრიორიტეტული არის თუ არა მედიასაშუალებებისთვის ახალგაზრდების საკითხების გაშუქება.

ახალგაზრდების თემატიკით ლოკალური მედიის დაინტერესება, მისი ზოგადი გააქტიურება და ქვეყნის დღის წესრიგში ჩართვა ლოგიკურად მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს თავად რეგიონული მედიის განვითარების, აუდიტორიის ნდობის მოპოვებისა და რეიტინგების ზრდის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ახალგაზრდები, რეგიონული, ლოკალური, რადიო, გაშუქება, ათინათი.

შესავალი

ქართული რეგიონული მედია ერთი შეხედვით მრავალფეროვანია. ფუნქციონირებს, როგორც ტელევიზიები, ასევე ბეჭდური გამოცემები, საინფორმაციო სააგენტოები და რადიო სადგურები. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, საქართველოში ლოკალურ მედიას სხვადასხვა კომპლექსურ პრობლემებთან უწევს გამკლავება. მათ შორის, დაბალი ბიუჯეტი, კადრების დეფიციტი, დაბალი რეიტინგი / ცნობადობა, საავტორო პროგრამების მნიშვნელოვანი დანაკლისი და ა.შ. (მარღია 2024) ჩამოთვლილი მიზეზების გამო ბევრი ტელევიზია იძულებულია საარქივო, ე.წ მექანიკური მაუწყებლობა შესთავაზოს აუდიტორიას. ყველა ჩამოთვლილი პრობლემა ერთგვარ ჯაჭვს ქმნის, რითაც, საბოლოოდ, ლოკალური მედიის ნაკლები პოპულარობა და დაბალი რეიტინგი აიხსნება.

რეიტინგი ნებისმიერი მედიასაშუალებებისთვის ბაზარზე პოზიციონირების საუკეთესო საშუალებაა. ეს მონაცემები დამკვეთს ეხმარება, განსაზღვროს პოტენციური სამიზნე აუდიტორიის რაოდენობა და შეაფასოს მისი სურვილებისა და მოსალოდნელი შედეგების თანხვედრა. რეიტინგის ცოდნა მედიასაშუალებებისთვისაც უმნიშვნელოვანესია. მისი საშუალებით სარეკლამო მომსახურებისა და საეთერო დროის ადეკვატური ღირებულების დადგენა იქნება შესაძლებელი. სამწუხაროდ, რეგიონული ტელევიზიებისთვის აღნიშნული სერვისი მხოლოდ 2016 წლიდან გახდა ხელმისაწვდომი. ამ დრომდე ლოკალური მაუწყებლების ოფიციალური რეიტინგები არ ითვლებოდა.

საქართველოში სატელევიზიო რეიტინგებს ორი კომპანია, „ტრი მედია ინტელიჯენსი“ და „თი-ვი ემ-არ საქართველო“ ითვლის. „ტრი მედია ინტელიჯენსი“ ქვეყანაში მოქმედი 41 სატელევიზიო არხის რეიტინგებზე მუშაობს, მათ შორისაა რეგიონული მაუწყებლებიც. ამჟამად მისი პანელი ოკუპირებული ტერიტორიების გარდა, მთელ საქართველოს მოიცავს. (TRI MEDIA INTELLIGENCE n.d.)

დღეს TMI-ს გვერდზე ცენტრალურ მედიასაშუალებებთან ერთად ლოკალური მაუწყებლების რეიტინგების ხილვაც შესაძლებელია. უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის სხვაობა კოლოსალურია. კომპანიის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში ტელევიზიების რეიტინგული სიის ათეულში არცერთი რეგიონული ტელევიზია არ შედის. (TRI MEDIA INTELLIGENCE თ. გ.)

რაც შეეხება რადიოს, საქართველოში მას მრავალწლიანი ისტორია აქვს. 1924 წელს პირველი რადიოტრანსლაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან ელექტრომექანიკური ქარხნის მუშათა კლუბში მოეწყო (ელდარ იბერი & თეა მჟავანაძე & ნანა ტალახაძე 2009). მას შემდეგ ქართულმა რადიომ რთული, საინტერესო და მრავალფეროვანი გზა გაიარა. მედიასაშუალება წარმატებით ადაპტირდა თანამედროვე ინფორმაციულ გარემოსთან. ინტერნეტის განვითარების პარალელურად რადიომ ონლაინსივრცეშიც გადაინაცვლა. დღეს თითქმის ყოველ მათგანს აქვს საკუთარი ვებგვერდი, სადაც თავსდება, როგორც ლაივ რეჟიმში მიმდინარე გადაცემები, ასევე რეპორტაჟები, სიახლეები და ა.შ. ამ გზით მედიასაშუალებამ ხმას ვიზუალური მასალაც დაამატა. რადიომსმენელთა დიდი ნაწილი სატრანსპორტო საშუალების მფლობელი/მგზავრია. გადაადგილებისას კომფორტულია ახალი ამბების, გადაცემების, მუსიკის მოსმენა. მედიასაშუალებამ ციფრულ ეპოქაში შესანიშნავად დაიმკვიდრა თავი.

რეგიონში მოქმედ რადიოსაშუალებებს ისეთივე კომპლექსური პრობლემები აქვთ, როგორც სხვა ადგილობრივ მაუწყებლებს. დამატებით უნდა აღინიშნოს დაფარვის ზონების სიმცირე. უმეტეს შემთხვევაში, ლოკალურ რადიოს მცირე მასშტაბის გავრცელების არეალი აქვს, რაც, ბუნებრივია, მისი აუდიტორიის რაოდენობაზე უარყოფითად მოქმედებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტერნეტის განვითარებამ და ინფორმაციის მიღების მრავალმხრივმა შესაძლებლობამ ტრადიციულ მედიაზე სხვადასხვაგვარი მოსაზრებების გავრცელებას შეუწყო ხელი. მაგალითად, ახალგაზრდების ე.წ გაჯეტებთან „მეგობრობამ“ ტრადიციული მედიით მათი ნაკლებად დაინტერესება გამოიწვია და ა.შ.

ჩამოთვლილი გარემოებების გათვალისწინებით, წარმოდგენილი კვლევის მიზანია: გამოვიკვლიოთ ქართულ რეგიონულ რადიოში როგორ და რა სიხშირით შუქდება ახალგაზრდებისთვის საინტერესო და პრობლემური საკითხები. არის თუ არა სპეციალიზებული გადაცემები ან რუბრიკები, რომლებიც საკვლევ თემას აშუქებს. საკვლევ ობიექტად შევარჩიეთ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოქმედი რადიო „ათინათი“, რომელიც თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე აწვდის ინფორმაციას რეგიონის მოსახლეობას.

არსებულ ვითარებაში გასარკვევად და ქართველი ახალგაზრდებისთვის პრობლემური საკითხების გამოსავლენად, გამოვიყენეთ ავტორთა ჯგუფის მიერ 2023 წელს დასრულებული ნაშრომი - „ახალგაზრდობის კვლევა დამოუკიდებელი საქართველოს თაობა: იმედებსა და გაურკვევლობას შორის“ (რატი შუბლაძე & დავით სიჭინავა & თამარ ხოშტარია 2023). კვლევის

შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელია დავადგინოთ ქართველი ახალგაზრდებისთვის პრობლემური საკითხები, შემდეგ კი დავაკვირდეთ ლოკალურ მედიაში მათი გაშუქების სიხშირესა და გადმოცემის სტილს. აღნიშნული კვლევის მიზანი საქართველოში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდების დამოკიდებულებების, პრობლემებისა და მოსაზრებების შესწავლაა. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი (გამოკითხვა) და თვისებრივი (ფოკუს ჯგუფები) მეთოდების გამოყენებით და 1206 რესპონდენტი გამოიკითხა (რაოდენობაში არ შედიან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდები). (რატი შუბლაძე & დავით სიჭინავა & თამარ ხოშტარია 2023, გვ. 15)

კვლევამ ძალიან მნიშვნელოვანი და კომპლექსური გარემოებები გამოკვეთა. მათ შორის, მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები ყველაზე ხშირად მათთვის პრობლემურ საკითხებად ასახელებდნენ: არასტაბილურ ეკონომიკურ მდგომარეობას, უმუშევრობას, ოჯახზე მატერიალურად დამოკიდებულებას, განათლების დაბალ დონეს, ემიგრაციას, ჯანდაცვის სისტემის გაუმართაობასა და სხვა. (გვ. 5-10)

კვლევის შედეგების გათვალისწინებით ახალგაზრდებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ემიგრაციაა. მათი თქმით, უცხო ქვეყანაში გამგზავრების ძირითადი მიზეზი უფრო ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა, კარგი სამუშაო პირობები და მაღალი ანაზღაურებაა. (რატი შუბლაძე & დავით სიჭინავა & თამარ ხოშტარია 2023, გვ. 5-10)

წარმოდგენილი სტატიისთვის კვლევის მეთოდებად შეირჩა მეორეული წყაროების ანალიზისა და კონტენტანალიზის მეთოდები. მეორეულ წყაროებად გამოყენებულია საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის, კვლევებისა და სამეცნიერო სტატიების ანალიზი. ხოლო კონტენტანალიზი უზრუნველყოფს წარმოდგენილი კვლევის ორიგინალურობასა და სიღრმეს. ავრცელებს ახალ ინფორმაციას. კონტენტანალიზისთვის შერჩეულია საკვლევი ობიექტის, რადიო „ათინათის“ ვებგვერდი www.radioatinati.ge, რომლის საშუალებითაც შევისწავლეთ საარქივო მასალები, ახალგაზრდების თემატიკაზე მომზადებული გადაცემები და რუბრიკები.

ძირითადი ნაწილი

რადიო „ათინათი“ ამავე სახელწოდების არასამთავრობო ორგანიზაციამ ზუგდიდში 1998 წელს ჩამოაყალიბა. მედიასაშუალების ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ ის დამოუკიდებელი სადგურია და არ ასოცირდება არცერთ პოლიტიკურ ჯგუფთან. „ათინათის“ სამიზნე აუდიტორია 25-45 წლის მოქალაქეები არიან. ის მაუწყებლობს 24 საათის განმავლობაში. დაფარვის არეალი კი მოიცავს სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, გურიის, აჭარისა და აფხაზეთის ტერიტორიებს. (რადიო „ათინათი“) მედიასაშუალებას აქვს საკუთარი ვებგვერდი www.radioatinati.ge. მასზე განთავსებული ინფორმაციით, რადიოტალღის გავრცელების არეალში დაახლოებით მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ხოლო „ათინათს“ დაახლოებით 35 000 ადამიანი უსმენს, რასაც ინტერნეტმსმენელთა რაოდენობაც ემატება. (რადიო „ათინათი“) დაკვირვებამ ცხადყო, რომ მედიასაშუალება აქტიურად აშუქებს სოციალურ საკითხებს, ადგილობრივ და ქვეყანაში მიმდინარე ზოგად პოლიტიკურ მოვლენებს, ადგილობრივ კულტურას, ხელს უწყობს მეგრული

ენის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას. აქვს სხვადასხვა მიმართულების რუბრიკები, ამზადებს მულტიმედია პროდუქტებს ვებგვერდისთვის. „ათინათს“ აქვს შემდეგი გადაცემები: „ჩვენი თვითმმართველობა“, „FM თერაპია“, „ოდაბადემ კინოხონი“, „დადიანების სასახლეთა საგანძური“, „შენი საუკეთესო მომავლისთვის“. მედიასაშუალების ოფიციალურ გვერდზე მითითებულია, რომ ჰყავს პარტნიორები აფხაზეთში, რომლებთან თანამშრომლობით ეთერში ყოველკვირეული გადაცემა გადის. რუსულენოვანი გადაცემა ქართულ-აფხაზურ, მეგრულ-აფხაზურ ტრადიციებსა და ურთიერთობებს ეხება.

რადიო „ათინათი“ ახალგაზრდებს ხშირად იწვევს ეთერში. სასაუბრო თემები ძირითადად ეხება განათლებას, კულტურასა და სოციალურ საკითხებს. რესპონდენტები საუბრობენ გაცვლითი პროგრამების შედეგად მიღებულ გამოცდილებაზე, მსგავს პროგრამებში ჩართვის მსურველთათვის ხსნიან კრიტერიუმებს და ა.შ. გადაცემა „შენი საუკეთესო მომავლისთვის“ სწორედ ამგვარი საკითხების გაშუქებაზეა ორიენტირებული. ეპიზოდების სათაურები გადაცემის ფოკუსზე მეტყველებს: ევროპულ გარემოში ყოფნამ, უფრო მეტად დამარწმუნა ჩემს შესაძლებლობებში („ათინათი“ 2024), მასალის რესპონდენტი სამაგისტრო პროგრამის სტიპენდიატი და წარმატებული სტუდენტია. ის საუბრობს თავის ევროპულ გამოცდილებაზე, გავლილ სტაჟირებებსა და სამომავლო გეგმებზე. ამავე შინაარსისა და მიმართულების გადაცემები მომზადდა ზუგდიდელი ახალგაზრდების შესახებ, რომელთაც საზღვარგარეთის სხვადასხვა პრესტიჟული უნივერსიტეტების სასწავლო გრანტები და დაფინანსებები მოიპოვეს. ესპანეთის, ფინეთის, ბუდაპეშტის, ამერიკის უნივერსიტეტებში სასწავლებლად წასული ადგილობრივი ახალგაზრდების პორტრეტები მოტივაციისა და იმედის მომცემია მათი თანატოლებისათვის. გადაცემა „შენი საუკეთესო მომავლისთვის“ ძირითადად ამ თემებზეა ორიენტირებული. რადიოგადაცემა მზადდება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ და რადიო „ათინათის“ ერთობლივი გადაცემა „ჩვენი თვითმმართველობა“ რეგიონისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე მოვლენებს აშუქებს. ის ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკაზე, სოციალურ საკითხებზე, მათ შორის, ახალგაზრდების პრობლემებსა და ადგილობრივ დონეზე არსებულ გამოწვევებზე. ეპიზოდები მომზადდა მიუსაფარი ცხოველების პრობლემაზე, ჩხოროწყუს საკრებულოს საქმიანობის მიმოხილვაზე, რეგიონული მედიის გამოწვევებზე, ზუგდიდის მერის გეგმებსა და საკრებულოსთან მის თანამშრომლობაზე, დევნილთა განსახლების პრობლემებზე, რამდენიმე გადაცემა მიემდგნა ე.წ „რუსულ კანონსა“ და მის განხილვას. საკვლევი პერიოდის (2020-2024 წლები) განმავლობაში რამდენიმე ეპიზოდი მომზადდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ახალგაზრდების პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ. 2023 წლის 20 სექტემბერს ეთერში გავიდა ეპიზოდი, სახელწოდებით: „ახალგაზრდების გამოწვევები წალენჯიხაში“. გადაცემის სტუმრები ადგილობრივი იურისტი და სამოქალაქო აქტივისტი იყვნენ. საუბარი შეეხებოდა წალენჯიხასა და დაბა ჯვარში მცხოვრები ახალგაზრდების პრობლემებს. რესპონდენტებმა ყურადღება ახალგაზრდების მიგრაციაზე გაამახვილეს. სტუმრებმა ამ მოვლენის ერთ-ერთ მიზეზად დედაქალაქში განათლების მიღების შესაძლებლობა დაასახელეს.

მიუხედავად იმისა, რომ წალენჯიხაში უმაღლესი სასწავლებელი არ არის, ზუგდიდში ფუნქციონირებს უნივერსიტეტი, თუმცა ადგილობრივი ახალგაზრდების უმეტესობა სასწავლებლად წასვლას მაინც თბილისში ამჯობინებს. სწავლის დასრულების შემდეგ კი რეგიონში აღარ ბრუნდებიან. რესპონდენტმა ახალგაზრდების დედაქალაქში დარჩენის მიზეზად დასაქმების მეტი შესაძლებლობა დაასახელა. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით დასაქმება თბილისშიც ძალიან რთულია, საქართველოს რეგიონებთან შედარებით დედაქალაქში ბევრად მეტი სამუშაო ადგილია, თუნდაც მომსახურების სფეროში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც გადაცემის სტუმრებმა გამოკვეთეს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობაა. ადგილობრივები სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან მოძრავი გამგელო ტრანსპორტით სარგებლობენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი აღნიშნულ პრობლემას რამდენიმე წელია აპროტესტებენ, საკითხი ჯერჯერობით არ მოგვარებულა.

ტრანსპორტის არარსებობა პირდაპირაა დაკავშირებული დასაქმების პრობლემებთან, რაც ადგილობრივი ახალგაზრდების რეგიონიდან შიდა თუ გარე მიგრაციას იწვევს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ძირითადად დასაქმებულია საკუთარ მეურნეობაში, ადგილობრივ თვითმმართველობასა და მომსახურების სფეროში, ძირითადად, სუპერმარკეტებში, სახელმწიფოს სოციალური პროგრამით დასაქმებულთა რაოდენობაც იმატებს. ჟურნალისტის კითხვაზე თუ რა უნდა შეიცვალოს წალენჯიხასა და ჯვარში, რომ მეტად სასურველი და მიმზიდველი იყოს ახალგაზრდებისთვის, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტს აქვს უდიდესი ტურისტული პოტენციალი, რომლის რეალიზებაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს თავად მისი პოპულარიზაციის საქმეში, ადგილობრივებისთვის იქნება მეტად შემოსავლიანი, განვითარდება მცირე ბიზნესი. გადაცემაში აღნიშნა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის გასართობი და სპორტული სივრცეების ნაკლებობა არ იგრძნობა. ამ მიმართულებაზე მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული. ძირითადი პრობლემები რომლებიც გადაცემის სტუმრებმა გამოკვეს ახალგაზრდების მიგრაცია, შიდა სასოფლო გზების გაუმართაობა, დასაქმების პრობლემა და მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობაა. ("ათინათი", www.radioatinati.ge 2023) გადაცემის მორიგი ეპიზოდის სტუმრები ჩხოროწყელი სკოლის მოსწავლე და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი იყვნენ. სტუმრებმა ჩხოროწყელი ახალგაზრდების პრობლემებზე ისაუბრეს.

გადაცემაში აღნიშნა, რომ ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის პრობლემურია საგანმანათლებლო და გასართობი სივრცეების არარსებობა. მუნიციპალიტეტში არ არსებობს კინოთეატრი, ტრენინგ-სემინარების, შეხვედრების, დისკუსიებისთვის გამოყოფილი სივრცეები. ახალგაზრდებს არ აქვთ შეკრების ადგილი, სადაც თავისუფლად დასხდებიან გაცვლიან აზრებს და ექნებათ შესაძლებლობა დაგეგმონ და განახორციელონ იდეები. სტუმრების თქმით, ქალაქში არის მხოლოდ ერთი სტადიონი და პატარა სკვერი, სადაც მუდმივად ხალხმრავლობაა. მუნიციპალიტეტში დეფიციტურია რეკრეაციული ზონები, არ არსებობს საცურაო კომპლექსი, არ არის უფასო ინტერნეტის მიღების ე.წ WI-FI შესაძლებლობა და ა.შ. გადაცემაში სტუმრად მყოფმა მასწავლებელმა მიგრაციის პრობლემის აღწერისას აღნიშნა, რომ სოფლის სკოლებში არის

კლასები, რომლებშიც საერთოდ არ ირიცხებიან მოსწავლეები. მუნიციპალიტეტის კიდევ ერთი პრობლემა დასაქმებაა. სტუმრების თქმით, საკმაოდ ხშირად დასაქმებული ადამიანებიც ტოვებენ რეგიონს, რადგან ანაზღაურება დაბალია და ადამიანის ელემენტარულ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს. ("ათინათი", www.radioatinati.ge 2023) გადაცემის კიდევ ერთი ეპიზოდი ზუგდიდელი ახალგაზრდების პრობლემების განხილვასაც დაეთმო. სტუმრები ადგილობრივი ახალგაზრდები იყვნენ. მათ ზუგდიდელი ახალგაზრდების ძირითად პრობლემებად და გამოწვევებად შემდეგი საკითხები დაასახელეს: სტუდენტების გრაფიკზე მორგებული სამუშაო ადგილებისა და ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა, დამსაქმებლების მიერ რამდენიმეწლიანი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნა, შიდა და გარე მიგრაცია. გადაცემაში აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული სივრცეები, მაგალითად ბოტანიკური ბაღი ფასიანია და ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის. ხოლო გასართობი სივრცეები საერთოდ არ არსებობს. ქალაქი ახალგაზრდებისთვის უფრო მიმზიდველი და სასურველი რომ გახდეს, საჭიროა დეცენტრალიზაცია, რეგიონის ტურისტული და გასართობი პოტენციალის გამოკვეთა. ახალგაზრდების განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა და მათთვის სასურველი გარემოს შექმნა. ("ათინათი", www.radioatinati.ge 2023)

კვლევის შედეგი / დასკვნა

საკვლევი პერიოდის, 2020-2024 წლების განმავლობაში რადიო „ათინათის“ ვებგვერდზე გადაცემა „ჩვენი თვითმმართველობის“ 84 ეპიზოდი განთავსდა. თუმცა, ახალგაზრდების საჭიროებებსა და პრობლემებს მხოლოდ 3 მათგანი ასახავდა. გადაცემა „შენი საუკეთესო მომავლისთვის“ კი 2023 წლიდან გადის ეთერში და ამ დრომდე მომზადებული 13-ვე ეპიზოდი წარმატებული ახალგაზრდების ისტორიების გაცნობას დაეთმო. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ რადიოებზე შორის სხვაობა საკმაოდ დიდია, ახალგაზრდებზე მომზადებული გადაცემების ეპიზოდები მნიშვნელოვან, საინტერესო და განსაკუთრებით პრობლემური თემების განხილვას დაეთმო. გამოიკვეთა რეალურად არსებული გამოწვევები, რომელთა მოგვარებაც ადგილობრივი ახალგაზრდების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას და რეგიონებში არსებული მდგომარეობის მოგვარებას შეუწყობს ხელს.

შეიძლება ითქვას, რომ რადიო „ათინათს“ აქვს გამართული ვებგვერდი, სადაც საარქივო და მიმდინარე მასალებია განთავსებული. თავად მედიასაშუალება ყურადღებას ამახვილებს რეგიონის აქტუალურ პრობლემებსა და სიახლეებზე. ახალგაზრდებისთვის საინტერესო საკითხების მიმართულებით აშუქებს, როგორც დადებით, ასევე პრობლემურ და ნეგატიურ თემებს. წინამდებარე სტატიაში განხილულ გადაცემებში ცალ-ცალკე გაშუქდა რეგიონის 3 დიდი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის პრობლემური საკითხები.

„ათინათის“ შემთხვევაში გამოიკვეთა მცდელობა გაშუქდეს რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები. თუმცა, ბუნებრივია, ბევრად სასიკეთოდ და შედეგიანი იქნება მსგავსი თემატიკის გადაცემების მეტი ინტენსივობით მომზადება და პრობლემების გამოკვეთა მისი შემდგომი მოგვარების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ელდარ იბერი & თეა მჟავანაძე & ნანა ტალახაძე. 2009. "საქართველოს რადიოს ისტორია". თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. https://www.tsu.ge/assets/media/files/48/nashromebi/Saqartvelos_Radios_Istoria.pdf.
2. მარღია, მარიამ. 2024. „ქა რთული რეგიონული მედიის ჩამოყალიბება და თანამედროვე გამოწვევები.“ საერთაშორისო რეფერირება დი და რეცენზირება დი ჟურნალი "მეცნიერება და ინოვაცია", N4, გვ. 218.
3. რატი შუბლაძე & დავით სიჭინავა & თამარ ხომტარია. 2023. „ახალგაზრდობის კვლევა დამოუკიდებელი საქართველოს თაობა: იმედებსა და გაურკვევლობას შორის“. თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

ინტერნეტრესურსები:

4. "ათინათი", რადიო. 2024. www.radioatinati.ge. 25 მაისი . წვდომა 2025 წლის 14 იანვარი. <https://shorturl.at/lBmPH>
5. —. 2023. www.radioatinati.ge. 20 სექტემბერი. წვდომა 2025 წლის 14 იანვარი. <https://shorturl.at/JFSqq>
6. —. 2023. www.radioatinati.ge. 16 სექტემბერი. წვდომა 2025 წლის 14 იანვარი. <https://shorturl.at/x1gCE>
7. —. 2023. www.radioatinati.ge. 15 სექტემბერი. წვდომა 2025 წლის 14 იანვარი. <https://shorturl.at/VEKdN>
8. რადიო"ათინათი". www.radioatinati.ge. წვდომა 2025 წლის 14 იანვარი. <https://www.radioatinati.ge/chven-shesakheb.html>.
9. *TRI MEDIA INTELLIGENCE*. წვდომა 2024 წლის 20 december. <https://www.tmi.ge/ka/pages/1>.

The theme of the Youth in the Georgian regional radio (on the example of the radio “Atinati”)

Mariam Marghia

Doctoral Student of the Doctoral Program in Mass Communication

Caucasus International University Tbilisi City, Chargali str. #73

mariam.margia@ciu.edu.ge

DOI: <https://doi.org/10.61950/giu.1.2025.9303>

Abstract

Recently, the Georgian media market is characterized with wide diversity. On top of the traditional media, multiple news agencies and news blogs are actively carrying their activity. Despite of a large number of media outlets, the central (capital-based) media is still dominating. It has a high budget and rating, and against this background regional broadcasters have rather limited financial or human resources needed for their operation.

The local media is able to provide its own auditory with specific, local topics. Comfortable location enables it to report on different interesting events or routine activities carried on-site operatively and with maximal load. The stated is a comfortable instrument of dissemination of news for the auditory being interested in current events or simply residents of a definite region.

Media is characterized with its massive character, consideration of diversified interests of the auditory and forms of expression. Implementation of internet web made obtaining and processing of information immensely fast and comfortable. Proceeding from this, dependence of the society, especially of young people, upon the so-called gadgets, popularizes an opinion, that this part of the society is being separated from the traditional media gradually. The youth represents an extremely interesting, diversified part of the society focused on its constant development. Thus, preservation of the young auditory is very significant for the media, as well as discovering and considering of their interests and aspiration.

Against the background when internal and external migration is high in the country, the media must actively and frequently talk about the problems existing in concrete regions and challenges existing in front of the youth. In searching of the ways of settlement of these problems obtaining of the information field is a beneficial way.

A target of the submitted research is to represent a significance of reporting of the issues being interesting for young people, the problems and challenges they face in their daily life, to discover whether “Atinati” prepares programs and/or rubrics about local young people, the extent of the time spent and whether reporting of the youth’s issues is a priority for the media outlets.

Expressing of the interest by the local media in the youth’s topics, its general activation, its implementation in the state’s agenda, logically, will have an impact in the process of developing of the regional media, obtaining of the auditorial trust and rising of their ratings.

Keywords: youth, regional, local, radio, reporting, Atinati.

მე-5 თაობის (5G) და Wi-Fi 6E, 7-ის ქსელების გაერთიანების საკითხების დამუშავება ჰიბრიდულ ქსელში

მიხეილ ჯღამაძე

ტელეკომუნიკაციის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ქ. თბილისი, მ. კოსტავას 77,
+995577721199; m.jgamadze@gtu.ge
DOI: <https://doi.org/10.61950/giu.1.2025.9307>

აბსტრაქტი

ახალი თაობის მობილური 5G, Wi-Fi 6E და Wi-Fi 7 ქსელები, ასევე მომავალი თაობის Wi-Fi 8 ქსელი, სულ უფრო სწრაფად ხდება მასობრივი გამოყენების. როგორც 5G ტექნოლოგიას, ასევე Wi-Fi 6E/7/8 გააჩნია თავისი უპირატესობები. ახალი თაობის ქსელებს შეუძლიათ ჩართონ სხვადასხვა მოწყობილობები, კავშირის სხვადასხვა პარამეტრებისა და მომხმარებლის ან მოწყობილობის სხვადასხვა მოთხოვნების მიხედვით. მაგალითად როგორიცაა: ქსელის უსაფრთხოება, დაბალი შეყოვნება, მონაცემთა მაღალი სიჩქარე და სხვა.

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია თანამედროვე ქსელების გაერთიანების შესაძლებლობა და ასეთი ქსელების საშუალებით, მონაცემთა გადაცემის უფრო სრულყოფილი მომსახურებების შექმნა, რომელიც ინდივიდუალურად მორგებული იქნება ყველა სხვადასხვა სახის მომსახურებების მოთხოვნებთან. ასევე აღნიშნული ქსელების ერთ ერთი მთავარი უპირატესობას წარმოადგენს შიდა მონეტიზაციის სისტემის არსებობა, რომელიც საშუალებას იძლევა სხვადასხვა სატარიფო გეგმების/პაკეტების შექმნა მოხდეს ქსელის შიგნით ინდივიდუალურად.

საკვანძო სიტყვები: 5G SA (standalone architecture), 5G NSA (non-standalone architecture), Wi-Fi 6E, Wi-Fi 7, Wi-Fi 8, Time Division Multiplex (TDM) MAC, SDN (Software Defined Networking)

შესავალი

Wi-Fi ტექნოლოგიის ქსელები ეხმარებიან ოპერატორებს და ხელის უწყობენ ფიჭური ქსელის დაფარვის გაფართოებას დახურულ კერძო და საჯარო სივრცეებში, სადაც ფიჭური ქსელით შეღწევა გართულებულია ან სხვადასხვა სახის დამატებითი მომსახურებებია მისაწოდებელი. ისინი ხელს უწყობენ რადიოარხების გამტარუნარიანობის დაზოგვას/გაზრდას, ოპერაციული ხარჯების და ქსელის გადატვირთულობის შემცირებას. გარდა ამისა, კომერციული Wi-Fi ქსელები უზრუნველყოფენ დამატებითი შემოსავლების მიღებას. Wi-Fi 6E/7/8 ფოკუსირებულია ქსელის ეფექტურობაზე მრავალ მომხმარებლის, მათ შორის, IoT და M2M მოწყობილობების წვდომისთვის. ისინი იყენებენ სამ არალიცენზირებულ სიხშირულ დიაპაზონს (2,4 გჰც, 5 გჰც, 6 გჰც). Wi-Fi 8 შემთხვევაში რომელიც ჯერჯ კიდევ საბოლოო


With a restraining order issued by the court, it is possible that the abuser is prohibited from using the co-ownership alone. This prohibition is due to the fact that during the issuance of a restraining order, it becomes physically impossible to run a joint economic activity and dispose of common property with the joint participation of both spouses. During the issuance of the restraining order, the person is prohibited from approaching the spouse closer than the specified proximity. Therefore, it is unnecessary to talk about the fact that they can dispose of the common property jointly. The restraining order issued by the court is temporary, therefore, after the expiration of the term established by the order, the possibility of sole disposal of the co-ownership arises again for the spouse.

The court did not share the opinion of the lawyer defending the interests of the convict, that the car, which the prosecution argued against the defense, was the joint property of the spouses, which was purchased during the period of cohabitation of the spouses, which is why the convict did not damage his wife's property, but his own property.³⁹ According to the court, due to the fact that the said car was owned by the victim's spouse, it could not be considered only the property of the convicted person.

Results of the Research

The research showed the problem of determining property acquired during marriage in Georgian judicial practice. What difficulties arise when a dispute arises between spouses. The theoretical study and evaluation of the mentioned issues is important in order to separate and assign this or that property from co-ownership to one of the spouses in accordance with the request of the parties.

Conclusion

The division of the property of the spouses is of great importance, both during the marriage and after the divorce in order to assess the demands of the spouses. The legislation directly defines the following types of property of spouses: joint ownership of spouses; individual property of spouses; individual property of spouses, which turned into co-ownership; items of individual property of spouses; Things necessary for spouses' professional activities.

It is necessary to form clear views, for the cases that are still unplanned for the spouses, in order to prevent further legal disputes. For a uniform interpretation of the articles of the Civil Code of Georgia, it is desirable to establish guidelines and generalize the practice.

Bibliography

1. Constitution of Georgia, 1995.
2. Civil Code of Georgia, 1997.

³⁸ Decision of Supreme court of Georgia on case No. 713AP-19, 13/03/2020.

³⁹ Decision of Supreme court of Georgia on case Number 169AP-21.

3. Law of Georgia "On Civil Acts", 2011.
4. Besik Loladze and Anna Phirtskhalashvili. Fundamental Rights - Commentary. Tbilisi: "Forma" LLC publishing house, 2023.
5. Giorgi Rusiashvili. Property Relations of Spouses. Georgian-German Journal of Comparative Law", No. 10 (2020): 10-11.
6. Giorgi Meladze. "Rule of Disposal of Jointly Owned Property of Spouses". " Journal of Law ", No. 1 (2021): 67.
7. Giorgi Meladze. "Property Obligations of Spouses". " Journal of Law ", No. 2 (2022): 84-85.
8. Nino Basiladze. "De facto Marriage" - Nature, Term, Signs, Subjects and Concept". "Law Journal", No. 1 (2020): 110-111.
9. Roman Shengelia and Ekaterine Shengelia. Family and Inheritance Law. Tbilisi: "Meridiani", 2017.

ხელოვნური ინტელექტის სამართალსუბიექტობა - მომავალი თუ უტოპია?

თამთა რობაქიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საკ. ტელეფონი: 599 124 024 ელ. ფოსტა: robakidzetamta12@gmail.com
გიორგი ამირანაშვილი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი
DOI: <https://doi.org/10.61950/giu.1.2025.9310>

აბსტრაქტი

2018 წლის 23—25 ოქტომბერს მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა სააუქციონო სახლმა—„კრისტისმა“ (“Cristie’s”) გამართა საერთაშორისო აუქციონი, სადაც ნახატი —„ედმონდ ბელამის პორტრეტი“ (“portrait of Edmond Belamy”) 432,500 აშშ დოლარად გაიყიდა. ალბათ, ამ ამბავში უცნაურად არაფერი მოგეჩვენებათ, სანამ გაიგებთ, რომ აღნიშნული ნახატი ხელოვნური ინტელექტის მიერ იყო შექმნილი.

მაშ, რა განასხვავებს პროგრამას ადამიანისგან? სად გადის ზღვარი მოაზროვნე ადამიანსა და ხელოვნურ ინტელექტს შორის? ნუთუ, ხელოვნური ინტელექტი „ადამიანობას“ ითვისებს და გვპარავს... ის მომავლის ახალი სუბიექტია, თუ აბსურდული უტოპია?..

რა არის ხელოვნური ინტელექტი? - ამ კითხვაზე პასუხი იმდენად ვრცელია, რამდენადაც მისი შესაძლებლობები. ეს, შესაძლოა, იყოს მეცნიერება ისეთი ტექნოლოგიების შექმნის შესახებ, რომლებსაც შეუძლია ადამიანების მსგავსი აზროვნება. აღნიშნული ტექნოლოგია ადამიანების ფიქრის პროცესის შესწავლით ახერხებს ისეთი პრობლემების გადაჭრის უზრუნველყოფას, რომელსაც, ჩვეულებრივ, სტანდარტული ადამიანიც გადაჭრიდა, მაგრამ ტექნიკამ შეითავსა მისი დამხმარე ფუნქცია.

ხელოვნური ინტელექტის სისტემები, როგორც წესი, შექმნილია ადამიანების შემეცნებითი შესაძლებლობების სიმულაციისთვის და ეფექტიანობის, სიზუსტისა და ავტომატიზაციის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა სფეროში, მაგ., როგორიცაა მედიცინა (სადაც ეს უკანასკნელი, განსაკუთრებით ბოლო დროს, ძალიან დიდ წარმატებას აღწევს); ხელოვნება; იურისპრუდენცია; განათლება და სხვ.

ხელოვნური ინტელექტის მოქმედების სფერო, არც იმდენად ფართოა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ის შემოსაზღვრულია იმ ვიწროინტელექტუალური ფარგლებით, რომელიც ადამიანმა, თავის დროზე, თავისივე ნებით დაუწესა და მორჩილია იმ ფარგლებისა, რომელსაც ადამიანი შემოსაზღვრავს. ხელოვნური ინტელექტის საშიშროების საკითხის რელევანტურობა, არც ურიგოა და არც გადაუდებლად აუცილებელი. საჭიროა, იურისპრუდენციამ „ელექტრონულ პირს“ დაუწესოს მოქმედების ფარგლები, სადაც, თავის მხრივ, არც ტექნოლოგიურ შეზღუდვას ექნება ადგილი და არც ადამიანის ძირითადი უფლებებისას.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი; სამართალსუბიექტობა; ელექტრონული პირი; ხელოვნური ნეირონი

შესავალი

როგორც პროფ. ჯონ მაკარტი (ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი ფუძემდებელი) თავის ნაშრომში მიუთითებდა, ხელოვნური ინტელექტი გულისხმობს პროგრამასა თუ კომპიუტერს, რომელიც ზუსტად ისეთივე ინტელექტუალურ ფუნქციას შეასრულებს, როგორსაც ადამიანი... ისე იაზროვნებს, როგორც ადამიანი.¹ ამასთან, ხელოვნური ინტელექტი არის ასევე მეცნიერების დარგი, რომელიც ფუნდამენტურად იკვლევს ინტელექტუალური პროგრამებისა თუ თანამედროვე კომპიუტერების შექმნის საკითხებს.

იდეა ჩანასახშივე „განწირული“ იყო წარმატებისთვის. როცა ქმნი რაიმეს, რასაც ადამიანის გონებას უპირისპირებ, შეუძლებელია, ეს დარჩეს ყურადღების მიღმა.

თუკი მიზანია, შეიქმნას ადამიანის მსგავსი გონების მოდელი, მაშინ ჯერ ზუსტად უნდა ვიცოდეთ ადამიანის გონების მოდულაცია. კერძოდ, უნდა განისაზღვროს, როგორ სწავლობს, როგორ იღებს გადაწყვეტილებებს, როგორ აგვარებს პრობლემებს, როგორ სცემს პასუხებს დასმულ კითხვებს ადამიანი. სწორედ ამიტომ, მეცნიერთა აზრით, ხელოვნური ინტელექტი, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, უნდა დაყრდნობოდა ისეთ სამეცნიერო დარგებს, როგორიცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, მათემატიკა... და ასეც მოხდა.

თავის მხრივ, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში პროფ. ჰერბერტ საიმონი მიიჩნევდა, რომ უახლოეს 20 წელიწადში მანქანები შეძლებდნენ ადამიანის ყველა ფუნქციის შესრულებას, მაგრამ პროფ. საიმონის პროგნოზი, საბედნიეროდ, არ გამართლდა.²

1990-იან წლებსა და 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში ხელოვნურმა ინტელექტმა მისი განვითარების პიკს მიაღწია, მაგრამ მაინც ვერ ჩაანაცვლა ადამიანი.

თავის მხრივ, ხელოვნური ინტელექტის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ „კარგი პროგრამის დაწერა“, საჭიროა რობოტს, რომელიც ახორციელებს ხელოვნური ინტელექტის ფუნქციას, შეცნობილი ჰქონდეს გარე სამყარო, სფერო და ის წრე, რომელთანაც კონტაქტი უწევს.

აუცილებელია, რობოტს, რომელსაც გააჩნია ხელოვნური ინტელექტი, დახვეწილი ჰქონდეს სასაუბრო ენა და მარტივად შეეძლოს ადამიანებთან წერილობით თუ ვერბალურ კომუნიკაციაში შესვლა.

ერთ-ერთი აღიარებული განმარტების მიხედვით, ხელოვნური ინტელექტი— ეს არის რთული კიბერნეტიკული კომპიუტერულ-პროგრამულ-აპარატურული სისტემა (ელექტრონული, მათ

¹ გაბისონია ზ., ინტერნეტსამართალი და ხელოვნური ინტელექტი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2022 წ. გვ. 443.

² იქვე.

შორის - ვირტუალური, ელექტრო—მექანიკური, ბიო—ელექტრო—მექანიკური ან ჰიბრიდული), რომელსაც გააჩნია კოგნიტურ—ფუნქციური არქიტექტურა და საკუთარი ან ფარდობითად დაშვებადი საჭირო მოცულობის სწრაფმოქმედი გამოთვლითი სიმძლავრეები.³

1. ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივ სუბიექტად ცნობის საკითხი

როცა საკითხი ადამიანის ჩანაცვლების საფრთხეს ეხება, აუცილებელი ხდება რეგულაციების დაწესება და იმ ფარგლების შემოსაზღვრა, რომელშიც გაკონტროლირებადი იქნება ელექტრონული სამყაროს მოქმედება. მით უფრო მაშინ, როდესაც ამბობენ, რომ 21-ე საუკუნე ალგორითმის საუკუნეა და ადამიანები და ცხოველებიც კი ალგორითმები არიან.⁴

ადამიანები მათთვის გაუცნობიერებლად ისე იყენებს ხელოვნურ ინტელექტს, ამის გაცნობიერებასაც კი ვერ ასწრებენ. ცნობილი მაგალითის მიხედვით, ხელოვნური ინტელექტი და ალგორითმია ყოველდღიურად გამოყენებად ყავის აპარატებში, რომლებიც მომხმარებლის სურვილისამებ, არჩევენ ყავაში რძის, სიტკბოს თუ ნაღების შემცველობას —ეს პროცედურა, რომელიც ყველასთვის ნაცნობია, ალგორითმია.⁵

თუმცა, მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები აჩვენებს, რომ როგორც ყავის აპარატში დამონტაჟებული პროგრამა ალგორითმი, ამ აპარატზე თითის დამჭერის და ყავის დამღევი ადამიანიც ალგორითმია.⁶

იმისათვის, რომ ხელოვნური ინტელექტის სუბიექტად ცნობის საკითხი ვაღიაროთ, ალგორითმთან ერთად საჭიროა, რომ მას გააჩნდეს აზროვნება. უზოგადესი ცნების თანახმად, აზროვნება არის წმინდად კოგნიტური პროცესი, რომელიც გულისხმობს შეცვლილ გარემოებებში სწრაფ პოზიციონირებას, ახალ სიტუაციებში ორიენტირებას და ამოცანის გადაჭრის უნარს.

ხელოვნური ინტელექტისგან განსხვავებით, ადამიანის გონებას შეუძლია, რომ ინფორმაციულ ვაკუუმშიც მოახდინოს ოპერირება და იპოვოს გამოსავალი. ხელოვნური ინტელექტი „აზროვნებს“ მანამ, სანამ ამის გასაქანს ადამიანის მიერ მიწოდებული ინფორმაცია აძლევს. ხელოვნურ ინტელექტს არ შეუძლია განავრცოს აზროვნება. ე.ი., ვერ მოსთხოვ იმას, რაც უბრალოდ მას არ „ასწავლეს“. განსხვავებით ადამიანისგან, რომელსაც მაშინაც კი შეუძლია განავითაროს მსჯელობა, როცა, რეალურად, კოგნიტური ელემენტი მნიშვნელოვნად დაბალია.

ამისდა გამო, ხელოვნურ ინტელექტს, როგორც ერთ—ერთ დახვეწილ პროგრამას — მაგრამ არა ადამიანს, ვერ ექნება პრეტენზია სამართალსუბიექტობაზე.

2. ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი სტატუსი

³ Ponkin A. V., Redkina A. I. Artificial intelligence from the point of view of law. Vestnik RUDN. Series: Legal Sciences, 2018, გვ. 94- 95.

⁴ Harari Y. N. Homo Deus. A Brief History of Tomorrow, 2015. გვ. 125.

⁵ გაბისონია ზ., ინტერნეტსამართალი და ხელოვნური ინტელექტი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2022 წ. გვ. 459.

⁶ იქვე, გვ. 467.

მიუხედავად ზემოაღნიშნული არგუმენტებისა, მაინც არ წყდება დისკუსიები ხელოვნური ინტელექტის სამართლის სფეროში შეჭრასთან დაკავშირებით.

როგორც მეცნიერებაში ცნობილია, ადამიანს, როგორც სამართლის ერთადერთ სუბიექტს, სამი ძირითადი რევოლუციის გადატანა მოუწია. პირველ რევოლუციას „კოგნიტურ რევოლუციას“ უწოდებენ (დაახლ. 70,000 წლის წინ); მეორეს — „სასოფლო — სამეურნეო რევოლუცია“ (დაახლ. 500 წლის წინ) და მესამეს — „სამეცნიერო რევოლუციას“ (დაახლ. 500 წლის წინ —დღემდე). ამ იდეოლოგიის თანახმად, სწორედ „სამეცნიერო რევოლუცია“ დაედო საფუძვლად ახალი სუბიექტს—იურიდიული პირის წარმოშობას.⁷

როგორც მეცნიერი ლოურენს სოულუმბი აღნიშნავს, „ხელოვნური ინტელექტი ამტკიცებს, რომ ის პიროვნებაა და, შესაბამისად, მას პრეტენზია აქვს გარკვეულ კონსტიტუციურ უფლებებზე“⁸

საინტერესოა, შეძლებს თუ არა რომელიმე სახელმწიფო გარისკოს და ხელოვნური ინტელექტი ოფიციალურად გამოაცხადო სამართლის სუბიექტად, მიანიჭოს მას კონსტიტუციით გათვალისწინებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და გაავრცელოს მასზე კანონმდებლობის სრული პაკეტი?..

ამ საკითხს საუკეთესოდ ეხმიანება გერმანიაში მომხდარი გახმაურებული ე.წ. „სიმენსის“ შემთხვევა. ცნობილმა გერმანულმა კომპანიამ — „სიმენსმა“ მიმართა გერმანიის ფედერალურ საპატენტო ორგანოს კონკრეტული ტექნოლოგიის დაპატენტების მიზნით. საპატენტო ბლანკში ერთ-ერთი გრაფა, სადაც გამომგონებელი უნდა მიეთითებინათ, ცარიელი დარჩა, რადგან მისი შემქმნელი არა სუბიექტი, არამედ ხელოვნური ინტელექტი იყო. საპატენტო ორგანოს მიერ განაცხადი დახარვეზებული იქნა, რადგან მითითებული არ იყოარსებითად მნიშვნელოვანი ინფორმაცია —შემქმნელის ვინაობა. თავის მხრივ, ვერც კომპანია ვერ ახერხებდა რაიმის მითითებას, რადგან გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, „გამომგონებელი“ მხოლოდ ადამიანი, ე.ი., სამართლის სუბიექტი უნდა ყოფილიყო და ხელოვნური ინტელექტის მითითება ვერც თეორიულად და ვერც პრაქტიკულად ვერ მოხერხდებოდა.

საქმე სასამართლომდე მივიდა. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ გამოიკვლია საქმის არსებითი გარემოებები, მოქმედი კანონმდებლობა, დოქტრინა და საქმის ამგვარი გადაჭრა ამჯობინა: დადგინდა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შეცვლამდე, ანუ მანამ, სანამ ხელოვნური ინტელექტი სამართლის სუბიექტის სტატუსს არ შეითავსებს, მხარეები მოცემულობას უნდა დამორჩილებოდნენ. გადაწყდა, რომ გამომგონებლის გრაფაში უნდა მიეთითებინათ თვითონ ხელოვნური ინტელექტის შემქმნელების გვარ(ებ)ი. ამასთან, იქვე უნდა გაკეთებულიყო დათქმა,

⁷ ცნება „იურიდიული პირი“ გერმანული წარმოშობისაა და პირველადგამოიყენა გუსტავ ჰუგომ 1798 წელს გამოცემულწიგნში „ბუნებითი სამართლის, როგორც პოზიტიური სამართლის ფილოსოფიის, სახელმძღვანელო“. მასთან ერთადამ ცნებასმიაწერენ მეორე გერმანელმეცნიერს, პანდექტიკის მეცნიერების ფუძემდებელს გეორგ არლოლდჰაიხეს, რომელმაც 1807 წელს გამოცემულწიგნში დეტალურადგანიხილა და სისტემაში მოაქცია იურიდიული პირების ცნება სამოქალაქოსამართლის სუბიექტებთან კავშირში. იხ: Hugo G. Lehrbuch des Naturrechts als seiner philosophie des positive Rechts, Berlin, 1798; Schnitzer H., Die juristische perdon in der kodifikationsgeschichte des AGBGB, 1965.

⁸ alasso A., Hong L. Punishing Robots: Issues in the Economics of Tort Liability and Innovation in Artificial Intelligence, 2018. გვ. 5.

რომ გამოგონება შექმნილია ხელოვნური ინტელექტის მიერ.⁹

სხვა მაგალითად გამოდგება ხელოვნური ინტელექტის შეჭრა სახელოვნებო სფეროში, მის მიერ შექმნილი ნახატები, ლექსები თუ მუსიკები და აღნიშნულთან დაკავშირებული პრობლემები საავტორო უფლებების დაცვის კრილში. ამ უკანასკნელის მაგალითია — „ედმოდ ბელამის პორტრეტი“ („Portrait of Edmond Belamy“), რომელიც, როგორც შესავალში აღინიშნა, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სააუქციონო სახლის — „კრისტის“ — მიერ გამართულ აუქციონზე 2018 წლის შემოდგომაზე 432, 500 აშშ დოლარად გაიყიდა.¹⁰

3. „ელექტრონული პირი“ - მომავლის ახალი სუბიექტი

როგორც ჩანს, ხელოვნური ინტელექტის განვითარება იურისტებს აიძულებს, გადახედონ სუბიექტების კლასიკურ ორწევროვან აღქმას (ფიზიკური და იურიდიული პირების სახით). იმ შემთხვევაში, თუ ხელოვნური ინტელექტის თვითმყოფადობა მიაღწევს განვითარების იმ დონეს, რომ დამოუკიდებლად შეძლოს პროდუქტის შექმნა, საჭირო გახდება მისი საფუძვლიანი საკანონმდებლო რეგლამენტირება და მეტიც, დღის წესრიგში დადგება მისი სამართალსუბიექტად ცნობის საკითხი. თუკი, ერთ დროს, იურიდიული პირის სამართლებრივი ფიქცია წარმოუდგენელი იყო საზოგადოებისთვის, არ არის გამორიცხული, ახლაც მსგავს შემთხვევასთან გვქონდეს საქმე. თუკი არსებობს სამართლებრივი ფიქცია იურიდიული პირის სახით, რატომ არის გამორიცხული, არსებობდეს თვისობრივად ამავე პროტოტიპის ელექტრონული პირი?!

მსგავსი საკითხი განხილულ იქნა ჯერ კიდევ 2016 წელს ევროპარლამენტში, მაგრამ ამ იდეას მხარი არ დაუჭირეს. მოწინააღმდეგეთა მთავარ არგუმენტად ინდუსტრიის ზედმეტი ბიუროკრატიზაცია დასახელდა.¹¹

პროფ. ბუკჰარდ შაფერი ამბობდა, სამართლის თეორიაში ტერმინ „ელექტრონული პირის“ გაჩენა საკმაოდ ბუნდოვანი და არაკორექტული იყო სხვა პროფესიის წარმომადგენლებისათვის და დაბნეულობას იწვევდა მათში ეს საკითხი, მაგრამ იურისტებისთვის ამ ტერმინის შემოტანა ისეთივე პრაქტიკული მნიშვნელობისაა, როგორც თავის დროზე „იურიდიული პირის“ ცნების შემოტანა მოხდა.¹²

ნებისმიერ შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტის ავტონომიურობა მოარღვევს მართლწესრიგში უკვე დამყარებულ წყობას. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი მხრივ, სახეზეა ტექნოლოგიური პროგრესი, ხოლო, მეორე მხრივ, სახეზეა სამართალში ახალი სუბიექტის ცნობის საკითხი, რაც ამჟამად რამდენად მიზანშეწონილია — არავინ იცის. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანისთვის მინიჭებული ძირითადი უფლებები არ შეიძლება გარდაიქმნას მექანიკურ

⁹ <<https://www.siemens.com/global/en/company/stories/artificial-intelligence.html> . >, [ბოლონახვის თარიღი 7/12/2024].

¹⁰ <https://www.christies.com/search.>, [ბოლონახვის თარიღი 4/12/2024].

¹¹ <<https://www.vdma.org/robotik-automation.>>, [ბოლონახვის თარიღი 4/12/2024].

¹² Solum L.B. Legal Personhood for Artificial Intelligences // North Carolina Law Review. 1992. Vol. 70 №4. P. 1231 – 1287. P. 1257.

კოდად.¹³

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური ინტელექტი ჯერ კიდევ ძალიან აშინებს ადამიანებს. ამის ნათელი მაგალითია მასშტაბური პროტესტი ერთ-ერთი ახალი პროდუქტის, GPT 4-ის მიმართ.

ერთი კი უნდა ითქვას, რომ მომავალში ელექტრონული სამყაროს გარდაუვალი განვითარება წარმოუდგენელ იმპულსებს მისცემს საკანონმდებლო ცვლილებებს და აბსოლუტურად მოსალოდნელია, რომ თვისობრივად გადაისინჯოს მომავლის კანონმდებლობა.

4. ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი გამოწვევები და მისი სამართალსუბიექტად აღიარების საკითხი ქართულ რეალობაში

როგორც ნაშრომში უკვე არაერთხელ აღინიშნა, ხელოვნური ინტელექტის ერთბაშად განვითარება და, მით უფრო, მისი სამართალსუბიექტად ცნობის საკითხი, უამრავ საფრთხესთან არის დაკავშირებული. თუ გადავხედავთ სტატისტიკას, მივხვდებით, რომ ხელოვნური ინტელექტის სფეროში მოწინავე ქვეყნებიდან ყველა განვითარებული სახელმწიფოა. საქართველო კი განვითარების სტადიაზე იმყოფება. ყველა სახელმწიფოს, რომელიც თავს ხელოვნური ინტელექტის განვითარების მაღალი სტანდარტით იწონებს, აქვს კარგი წარსულის გამოცდილება. საქართველო პოსტ საბჭოთა ქვეყანაა და ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, ის, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ჩამოუვარდება სხვა განვითარებულ სახელმწიფოებს. ამასთან, ქვეყანაში ინოვაციის დანერგვას სჭირდება შესაბამისი დრო. მანამ, სანამ ქართულ კანონმდებლობაში ხელოვნური ინტელექტის, როგორც სამართალსუბიექტის, ცნებას შევიტანთ — საჭიროა ქვეყანაში შექმნილი იყოს გარკვეული სახის სამართლებრივი კულტურა. საქართველოში სულ რამდენიმე კვლევაა ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით ჩატარებული. კვლევების თანახმად, საჭიროა ხელოვნური ინტელექტის პოტენციალის მაქსიმალური გამოკვეთა.¹⁴

ამასთან, კვლევის შედეგად გამოირკვა, საქართველოში საჯარო დაწესებულებებიდან ხელოვნური ინტელექტის პროგრამას იყენებს ხუთი ინსტიტუცია:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და მის მმართველობაში შემავალი სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცენტრი 112;
2. საქართველოს გენერალური პროკურატურა;
3. სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
4. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრი;
5. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

¹³ Draft Report with recommendations to the Commission on Civil Law Rules on Robotics (2015/2103(INL)), 31.05.2016 / Committee on Legal Affairs / European Parliament; Rapporteur: Mady Delvaux // 22 p. გვ. 5.

¹⁴ იხ. ენუქიძე ნ., დგებუაძე მ. (კვლევის ხელმძღვანელები). „ხელოვნური ინტელექტის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების საჭიროება საქართველოში.“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით, ხელოვნური ინტელექტის პროგრამას იურიდიული დახმარების სამსახურიც აქტიურად იყენებს.

აღნიშნული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა სჭირდება ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე.

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტი კაცობრიობის თავსატეხია. ერთი კი ცხადია — ხელოვნური ინტელექტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შეუჩერებელი განვითარება დღის წესრიგში მძაფრად დააყენებს მისი სამართალსუბიექტობის საკითხსაც.

საქართველოს კანონმდებლობა არ უკრძალავს საჯარო უწყებებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას, მაგრამ მთავარია, ყველა გამომყენებელმა იცოდეს მისი ფარგლები. უფრო ზუსტად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მრავალ სფეროშია შესაძლებელი. ეს კი უნდა მოხდეს სიკეთის მიღების მიზნით და პროგრამა ადამიანმა თავისივე ხელით არ უნდა აქციოს პრობლემად.

2023 წელს ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარების პარალელურად, ტექნოლოგიურ წრეებში ღია წერილი გავრცელდა, რომლითაც ხელმომწერები ტექნოლოგიურ ლაბორატორიებს მოუწოდებდნენ, მინიმუმ 6 თვით შეეჩერებინათ ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთ ახალ პროექტზე, GPT 4-ზე მუშაობა, რადგან მათი თქმით, ამ სფეროს მძლავრი სისტემები მხოლოდ მაშინ უნდა განვითარდეს, როცა დავრწმუნდებით, რომ, ერთი მხრივ, მის განვითარებას დადებითი შედეგები მოჰყვება, ხოლო, მეორე მხრივ, მის კონტროლს შევძლებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღია წერილის ავტორები და მასზე ხელმომწერები სახელმწიფოებს ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე მორატორიუმის გამოცხადებას აიძულებდნენ. ხელმომწერებს შორის იყვნენ ილონ მასკი, ხელოვნური ინტელექტის ნათლიად წოდებული, მეცნიერი ჯოფრი ჰინტონი და სხვ.

კვლევის შედეგად, დადგინდა, რომ ამ ეტაპზე, ადამიანი ან ხელოვნური ინტელექტი — ასეთი უკიდურესობა არ არსებობს და რომც არსებობდეს, აუცილებლად კრახით დასრულდება, რადგან ერთხელ უკვე იყო მცდელობა, ხელოვნურ ინტელექტს ჩაენაცვლებინა ადამიანი ისეთ სფეროში, რომელიც მათემატიკასთან და ფორმალურ სიზუსტესთან არის დაკავშირებული, მაგრამ არ გაამართლა. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიები, რომლებიც შეიცავს რუტინულ სამუშაოს, მომავალში აუცილებლად გახდება ხელოვნური ინტელექტის მოწყვლადი ჯგუფი.

მეორე მხრივ, საქართველოში ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგიის მიღება საშუალებას მისცემს ქვეყანას — არა მხოლოდ რეგიონში, არამედ პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორისაც ციფრული სერვისების მქონე მოწინავე ქვეყანა გახდეს.

იმ შემთხვევაში, თუ ხელოვნურმა ინტელექტმა განვითარების შეუქცევად სტადიებს მიაღწია,

საქართველო იძულებული გახდება ფეხი აუწყოს ტექნოლოგიურ აღმასვლას. მაგ., ცხადია, ხელოვნური ინტელექტი ვერ ჩაანაცვლებს მოსამართლეს, მაგრამ რატომ არის მიუღებელი, მან მოსამართლეს გაუწიოს ასისტენტის ფუნქცია, საკუთრივ, მოუძებნოს კონკრეტული შემთხვევის მსგავსი სასამართლო გადაწყვეტილებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკები და ა.შ., ანუ, დაეხმაროს კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლებს ასისტირებისა და ანალიტიკის ნაწილში.

ამდენად, არავინ უარყოფს ხელოვნური ინტელექტის სიკეთეს სამართლებრივ თუ სამედიცინო ჭრილში, მაგრამ ეს სიკეთე არ არის აბსოლუტურად დაცვადი. იმის გამო, რომ ელექტრონული პირი ადამიანს გარკვეული სახის დახმარებას უწევს, არ აძლევს საშუალებას, ჰქონდეს პრეტენზია მის ჩანაცვლებაზე.

ამ საკითხის ამოსავალი წერტილია, რომ ხელოვნური ინტელექტის შემქმნელებმა გაითვალისწინონ ერთი მთავარი გზავნილი —ხელოვნურ ინტელექტს ყველაფერი არ შეუძლია. პროგრამამ უნდა იცოდეს სად მთავრდება მისი შესაძლებლობები და შეეძლოს ადამიანისთვის იმის თქმა, რომ მას კონკრეტული დავალების შესრულება მის ძალებს აღემატება.

ბიბლიოგრაფია

1. გაბისონია ზ., ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2022 წ.
2. ენუქიძე ნ., დგებუაძე მ. (კვლევის ხელმძღვანელები). „ხელოვნური ინტელექტის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების საჭიროება საქართველოში.“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი.
3. Draft Report with recommendations to the Commission on Civil Law Rules on Robotics (2015/2103(INL)), 31.05.2016 / Committee on Legal Affairs / European Parliament; Rapporteur: Mady Delvaux //.
4. Galasso A., Hong L. Punishing Robots: Issues in the Economics of Tort Liability and Innovation in Artificial Intelligence, 2018.
5. Harari Y. N. Homo Deus. A Brief History of Tomorrow, 2015.
6. Ponkin A. V., Redkina A. I. Artificial intelligence from the point of view of law. Vestnik RUDN. Series: Legal Sciences, 2018.
7. Solum L.B. Legal Personhood for Artificial Intelligences // North Carolina Law Review. 1992. Vol. 70 №4.
8. <https://www.siemens.com/global/en/company/stories/artificial-intelligence.html>., [ბოლონახვის თარიღი 7/12/2024].
9. <<https://www.christies.com/search>>, [ბოლონახვის თარიღი 4/12/2024].
10. <<https://www.vdma.org/robotik-automation>>, [ბოლონახვის თარიღი 4/12/2024].

Legal Entity of Artificial Intelligence - Future or Utopia?

Tamta Robakidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mobile: 599 124 024 Email: robakidzetamta12@gmail.com

Giorgi Amiranashvili, Assistant Professor, TSU

DOI: <https://doi.org/10.61950/giu.1.2025.9310>

Abstract

On October 23-25, 2018, one of the most famous auction houses in the world, Christie's, held an international auction, where the painting "Portrait of Edmond Belamy" was sold for 432,500 USD. You probably won't find anything strange about this story until you learn that the drawing in question was created by artificial intelligence.

So what distinguishes a program from a human? Where is the line drawn between a thinking person and artificial intelligence? Is artificial intelligence taking over "humanity" and stealing it from us? Is it a new subject of the future or an absurd utopia?

What is artificial intelligence? - The answer to this question is as broad as its capabilities. It may be the science of creating technologies that can think like humans. By studying the thought process of humans, this technology is able to provide solutions to problems that would normally be solved by a standard person, but technology has taken on its auxiliary function.

Artificial intelligence systems are usually designed to simulate human cognitive abilities and improve efficiency, accuracy, and automation in various fields, such as medicine (where the latter, especially recently, has achieved great success); art; jurisprudence; education, etc.

The scope of artificial intelligence is not as broad as it seems at first glance. It is limited by the narrow intellectual boundaries that Which man, at one time, of his own free will, has set for himself and is subject to the limits that man has set for himself. The relevance of the issue of the dangers of artificial intelligence is neither unnecessary nor urgent. It is necessary for jurisprudence to establish a scope of action for the "electronic person", where, in turn, there will be no technological restrictions or violations of fundamental human rights.

Keywords: artificial intelligence; legal personality; electronic person; artificial neuron

ლიბერალური იდეოლოგიის რეპრეზენტაცია მემარჯვენე ფრთის სუბიექტების ნარატივებში/რიტორიკაში (საქართველოს მაგალითზე 2012-2024 წლებში)

ბექა კაციტაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
მოწვეული ლექტორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
+995 591609800

beka.katsitadze.1@iliauni.edu.ge

დაჩი კორინთელი

საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
პროფესორის ასისტენტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
+995 557948207

dachi.korinteli.1@iliauni.edu.ge

DOI: <https://doi.org/10.61950/giu.1.2025.9311>

აბსტრაქტი

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების კოალიციის“ მოსვლიდან მოყოლებული, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ლიბერალურ და მემარჯვენე ჯგუფებს შორის მკვეთრმა იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა დაპირისპირებამ მოიცვა. ვითარებას ამძაფრებს ყოფილ და მოქმედ სახელისუფლებო პარტიებს შორის პოლარიზაცია და, ამასთანავე, რუსული ოკუპაციის მიმდინარეობა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ლიბერალური იდეოლოგიის რეპრეზენტაციის შესწავლას საქართველოში არსებული მემარჯვენე ფრთის სუბიექტების ნარატივებში/რიტორიკაში. კერძოდ, ნაშრომში შესწავლილია ჯგუფები, როგორებიცაა:

„ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“, „ერთობა, რაობა, იმედი“, „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“-„პატრიოტთა ალიანსი“ და „საქართველო უპირველეს ყოვლისა“. ნაშრომი აქტიურად იყენებს თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდოლოგიას, კერძოდ, უმეტესწილად ეფუძნება პირველადი წყაროების ანალიზს და, ასევე, წარმოადგენს მეორეული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას. კვლევის უმთავრესი მიგნებაა ის, რომ მემარჯვენე სუბიექტების ნარატივებში/რიტორიკაში საკმაოდ ხშირად გვხვდება შეურაცხმყოფელი ლექსიკური გამონათქვამები ლიბერალიზმზე მსჯელობისას. კვლევის მთავარი რეკომენდაცია იქნებოდა პოლიტიკური პროცესების წარმართვა პოლიტკორექტულობის დაცვით, რაც განმუხტავდა დამაბულობას და ვითარების სამომავლოდ გართულებას საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ლიბერალიზმი, მემარჯვენე, იდეოლოგია, საქართველო

შესავალი

2012 წელს საყოველთაო საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების კოალიციის“ მოსვლიდან მოყოლებული, იდეოლოგიური ბრძოლის თვალსაზრისით, ყველაზე კრიტიკული მომენტი 2018 წლის მაისში „ნარკოტიკული სამუალებების შესაძლო გასაღების ფაქტების გამოსავლენად კლუბებში ‘ბასიანი’ და ‘გალერი’ საპოლიციო რეიდები იყო, რასაც მრავალრიცხოვანი პროტესტი მოჰყვა“¹ შოთა რუსთაველის გამზირზე. საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ არსებული ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოებრივი ინიციატივა „თეთრი ხმაური“, ხოლო, მეორე მხრივ და პარალელურად, ახლადდაარსებული ნეოფაშისტური მოძრაობა „საქართველოს ეროვნული ერთობა“. მოგვიანებით, კონტრაქციაზე გამოჩნდნენ ქართველი ბიზნესმენი და მწერალი ლევან ვასაძისა და „ქართული მარშის“ მხარდამჭერი აქტივისტები.

უკანასკნელ პერიოდებში საქართველოში შეინიშნება ლიბერალურ და მემარჯვენე ჯგუფებს შორის მძაფრი იდეოლოგიური და პოლიტიკური დაპირისპირება. სიტუაციას ართულებს ყოფილ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) და მოქმედ („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“) სახელისუფლებო პარტიებს შორის პოლიტიკური პოლარიზაცია და, ასევე, რუსული ოკუპაციის ზემოქმედება. წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილი არიან მემარჯვენე სუბიექტები („ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“, „ერთობა, რაობა, იმედი“ („ერ.ი.“), „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ და „პატრიოტთა ალიანსი“, რომელთა წევრები ხშირად გამოდიან თანამებრძოლების აქციებზე და მონაწილეობას იღებენ სატელევიზიო გადაცემებსა და შეხვედრებში. ნაშრომის უმთავრესი მიზანია იმ ნარატივისა და რიტორიკის კვლევა, რომლითაც საქართველოში არსებული მემარჯვენე ფრთის სუბიექტები ლიბერალური იდეოლოგიის წარმომადგენლებს მოიხსენიებენ.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევი პრობლემა საკმაოდ აქტუალურია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის თვალსაზრისითაც. მაგალითად, 2018 წლის აპრილში გამოიცა უილიამ გალსტონის სტატია, სახელწოდებით „პოპულისტური გამოწვევა ლიბერალური დემოკრატიისთვის“. ავტორი აცხადებს, რომ პოპულისტები უპირისპირდებიან პლურალიზმს, კონსტიტუციაზე დაფუძნებულ სისტემას და ინდივიდების თავისუფლებას, თუმცა ემხრობიან სუვერენიტეტის პრინციპს. ნაშრომი ამტკიცებს, რომ დასავლეთში პოპულიზმის აღზევება გამოწვეული იყო არა მხოლოდ ემოციური, არამედ დემოგრაფიული და ეკონომიკური ცვლილებებითაც.² მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალიზმი ადრე დადებით კონტექსტში მოიხსენიებოდა, ახლა ის ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპებს.³ ერნესტო ლაკლაუ მხარს უჭერს გაზ მუდის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ პოპულისტი ლიდერები წარმართავენ იზოლაციურ საგარეო პოლიტიკას. ისინი ფიქრობენ, რომ ამით იცავენ ადგილობრივ მოსახლეობას მავნე

¹ სივილ ჯორჯია, „გიორგი გახარია თანამდებობიდან გადადგა“, <https://civil.ge/ka/archives/398536> (17.07.2024).

² William Galston, „The Populist Challenge to Liberal Democracy“, *Journal of Democracy* 2 (2018): 5-19.

³ Deth Van J. Kenan, „Political Ideologies: Conservative, Liberalism, Christian Democracy and Socialism“, In *Foundations of Comparative Politics: Democracies of the Modern World*, by Deth Van J. Kenan (Cambridge: Cambridge University Press, 2016), 299-329.

ზემოქმედებისგან. რელიგიურ ნარატივზე აპელირება კი პოპულისტი მემარჯვენე ნაციონალისტური ჯგუფების ერთ-ერთი იარაღია იმისთვის, რათა განახორციელონ თავიანთი შეხედულებების ინტერპეტაცია და დაარწმუნონ ადამიანები მათ სისწორეში.⁴ მემარცხენე პროგრესივისტებთან ერთად, ლიბერალიზმს თავს ესხმიან მემარჯვენე პოპულისტები, რომელთათვის პიროვნული ავტონომიის ცნება, ტრადიციული ღირებულებების გადაგარების ნიშნავს,⁵ ხოლო საკუთრივ საქართველოში, ულტრანაციონალისტური და მემარცხენე ჯგუფები ლიბერალიზმს აღიქვამენ რელიგიის, ტრადიციის და ჰუმანიზმის წინააღმდეგ მებრძოლ იდეოლოგიად.⁶

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდოლოგიას, კერძოდ, პირველადი წყაროების დამუშავებას, მათ ავტორისეულ ანალიზსა და ინტერპრეტაციას. კვლევის ფარგლებში შესწავლილია პარტიული წესდებები, სადამფუძნებლო კრებებზე გავრცელებული პოლიტიკური გზავნილები, პრესკონფერენციის დროს გაკეთებული მოხსენებები, სატელევიზიო გადაცემებიდან, ქუჩის აქციების გამოსვლებიდან და ინტერვიუებიდან ამონარიდები. აღსანიშნავია, რომ არაეთიკური და შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამო, წარმოდგენილი პარტიების ვებსაიტები და სოციალური ქსელების ანგარიშები ხშირად უქმდება, რაც განაპირობებს წყაროთა არაერთგვაროვან ხასიათს და წარმოადგენს კვლევის სერიოზულ შეზღუდვას. გარდა ამისა, ზოგიერთი მემარჯვენე სუბიექტი სარგებლობს საკუთარი ტელევიზიითა და მედიასაშუალებით (მაგალითად, „ალტ-ინფო“, „ობიექტივი“ და ერი-მედია“), რამაც გაცილებით მეტ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობა განაპირობა.

„ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“

2016 წლის 2 თებერვალს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მოძრაობა „ეროვნულები“, რომლის პრეზიდენტმა ალექსანდრე ბრეგამემ, თანამოაზრეებთან ერთად, 2017 წლის 14 ივლისს დედაქალაქ თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე მოაწყო ქართული მარშის სახელით ცნობილი მრავალათასიანი მსვლელობა. საპროტესტო აქცია საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების წინააღმდეგ იყო მიმართული, მოითხოვდა საიმიგრაციო პოლიტიკისა და ბინადრობის მინიჭების უფლების შესახებ კანონის გამკაცრებას.⁷ 2018 წლის 20 მაისს, თბილისში, კერძოდ, შოთა რუსთაველის გამზირზე, გაიმართა „ქართული მარშის“ მორიგი აქცია, სადაც მოძრაობის ლიდერმა ალექსანდრე ბრეგამემ მოწინააღმდეგე ჟურნალისტური გამოცემები „ულტრალიბერალისტულ პრესად“ შერაცხა, ცილისწამებაში დაადანაშაულა და უარყო ფაშისტური იდეოლოგია.⁸ 2020 წლის 2 ივლისს საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა

⁴ Cas Mudde, ed., *The Populist Radical Right - A Reader* (London and New York: Routledge, 2017).

⁵ ფრენსის ფუკუიამა, ლიბერალიზმი და მისით უკმაყოფილონი. მთარგმნ. ზაზა შენგელია (თბილისი: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2022), 12.

⁶ თეიმურაზ ხუციშვილი და სხვები. ლიბერალიზმი და საქართველო (თბილისი: ჭავჭავაძის ცენტრი, 2020), 64.

⁷ პატრიოტი TV, „ქართული მარში - საპროტესტო აქცია აღმაშენებლის გამზირზე.“ <https://www.youtube.com/watch?v=YUqxAdzdeM0> (17.07.2024).

⁸ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ქართველი ფაშისტები ეროვნული ღირებულებების დასაცავად.“ <https://www.youtube.com/watch?v=WgE-eOpOx7A> (17.07.2024).

„ქართული მარში - ეროვნული მოძრაობის“ პარტიის სადამფუძნებლო ყრილობა, რა დროსაც დელეგატებმა თავმჯდომარედ აირჩიეს ალექსანდრე ბრეგაძე, ხოლო გენერალურ მდივნად - ირაკლი შიხიაშვილი. აღსანიშნავია, რომ საპრეზენტაციო სცენაზე აღმართული იყო ქართველი საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის ფოტოსურათები შემდეგი ფრაზებით: „ავციოლია სიყრმიდანვე...“, „ის გიხმობს შენ“, „მარად და ყველგან...“ შეხვედრის მიმდინარეობისას, თავმჯდომარე ალექსანდრე ბრეგაძემ დამსწრე საზოგადოების წინაშე მიმართვა გაავრცელა:⁹

„ჩვენი პოლიტიკური პარტია დაფუძნებული იქნება დიდი ილიას ძირითად ფუძემდებლურ პრინციპებზე - ‘მამული, ენა, სარწმუნოება’, და ერთ-ერთ საარჩევნო სლოგანად გამოვიყენებთ დიდი ილიას სიტყვებს - ‘ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს’. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ პარტია ფუძნდება დიდი ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. რაც შეეხება საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლას, მათთან ვიქნებით ისეთივე რადიკალურები, როგორებიც აქამდე ვიყავით“.

2020 წლის 16 ოქტომბერს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ არხზე გავიდა „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობის“ თავმჯდომარის, ალექსანდრე ბრეგაძის მოსახლეობისადმი მიმართვა, სადაც მან პარტიის საარჩევნო პროგრამისა და პრიორიტეტების შესახებ ისაუბრა. პარტიის ლიდერი „მოამბის“ ეთერში ჩაერთო ტრაფარეტით, რომელზეც ეწერა ფრაზები, როგორებიცაა „დავითგარეჯა საქართველოა!“, „არა ოკუპაციას!“, „სოროსის ფონდი აიკრძალოს საქართველოში!“:¹⁰ „ჩვენი ძირითადი მიზანი არის ეროვნული, ტრადიციული, ქართული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიო თანამეგობრობაში და რომელიც განვითარებას მიაღწევს ტრადიციონალიზმისა და კონსერვატიზმის პრინციპებზე დაყრდნობით“. ალექსანდრე ბრეგაძემ, ასევე, ყურადღება გაამახვილა დემოგრაფიულ პრობლემებზე, ემიგრაცია-იმიგრაციის სალდოზე, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაზე, ნარკოტიკების ლეგალიზაციაზე და აღნიშნა, რომ ამ მოვლენების გაგრძელების შემთხვევაში, ქართველები ეთნიკურ უმცირესობაში აღმოჩნდებიან: „ჩვენი მთავარი ამოცანა არის ქართველი ერის, იდენტობის, არსებობის განვრცობა. დღესდღეობით, ‘გაერომ’ საქართველო შეიყვანა მომაკვდავ ერთა რიცხვში“.

„ერთობა, რაობა, იმედი (ე.რ.ი.)“

ბიზნესმენმა და მწერალმა ლევან ვასაძემ 2021 წლის 6 მაისს დააარსა საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთობა, რაობა, იმედი (ე.რ.ი.)“. როგორც საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, ორგანიზაციას აქვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა. აღსანიშნავია, რომ „ერთობა, რაობა, იმედის“ ღირებულებები ორგანიზაციის ვებსაიტზე, ცალკე სექციად არის ჩამოყალიბებული: მოძრაობა ითვალისწინებს ქართველებთან ერთად სხვა თანამემამულეების საერო ტრადიციების მფარველობასა და მათზე ზრუნვას, ისევე როგორც საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის პატივისცემას. ფასეულობებს

⁹ ვაკო ორმოცაძე და მირიან მელაძე, „‘ქართულმა მარშმა’ პარტია ‘ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა’ დააფუძნა [ფოტო],“ საზოგადოებრივი მაუწყებელი, <https://1tv.ge/news/qartuli-marshma-partia-qartuli-marshi-erovnuli-modzraoba-daaafudzna-foto/> (17.07.2024).

¹⁰ საზოგადოებრივი მაუწყებელი, „‘ქართული მარში - ეროვნული მოძრაობის’ თავმჯდომარე სანდრო ბრეგაძე,“ „მოამბე - #არჩვენები2020,“ <https://www.youtube.com/watch?v=gx-YIs5Nnm0> (17.07.2024).

შორის, მკაფიოდაა ხაზგასმული ტრადიციული რელიგიების მიმართ ტოლერანტობა. ასევე, ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერება და თაობათა შორის ასაკობრივი სხვაობის დაცვა ადამიანთა შორის ურთიერთობებში. ვასაძის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არის საქართველოს მიერ კეთილშობილური ურთიერთობების გამყარება. გარდა ამისა, მიზნებს შორისაა ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნება, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორება, ანტიადამიანური, ანტიტრადიციული პროცესების შეჩერება, ზნეობრივი რეფორმების გატარება და საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე არ დაემუქრება ქვეყნის ტრადიციების შენარჩუნებას. ლევან ვასაძის მოძრაობის ერთგვარი მანიფესტი მთავრდება მოწოდებით, რომ საქართველოში საჭიროა იდეოლოგიური გაჯანსაღება, რისთვისაც ორგანიზაცია გამოთქვამს მზადყოფნას უახლოესი საჭიროების პირობებში გადაკეთდეს პოლიტიკურ პარტიად.¹¹

აღსანიშნავია, რომ „მსოფლიო საოჯახო კონგრესის“ YouTube-ის გვერდზე გავრცელდა „ერთობა, რაობა, იმედის (ე.რ.ი.)“ დამფუძნებლის, ლევან ვასაძის მონოლოგი, სახელწოდებით „მოკლედ ნათქვამი“. კერძოდ, ლევან ვასაძე ამბობს, რომ ლიბერალური რესპუბლიკის დიქტატურა შედგება „სამი სასიკვდილო შხამისგან“: ნარკოპოლიტიკა და აზარტული თამაშები, რომლებიც მძიმე დამოკიდებულებას იწვევს და ანადგურებს მთელ ახალგაზრდობას. მესამე ფაქტორი არის აქტიური სექსუალური ცხოვრების პროპაგანდა, რომელიც მიმართულია აბორტების რაოდენობის ზრდის სასარგებლოდ და ოჯახის შექმნის წინააღმდეგ. ამას ემატება ტრადიციული განათლების სისტემის მოშლა, რაც ჯაშში იწვევს ეთნოციდს. შემდგომ, ვასაძე გვთავაზობს ლიბერალიზმის კრიტერიუმების ჩამონათვალს: ესაა ღია ეკონომიკა, როცა დამყარებულია საბანკო დიქტატურა, სახელმწიფო არ იცავს საკუთარ სოფლის მეურნეობასა და წარმოებას. ასევე, მედია-ტერორი, რომელიც ოპერირებს სიტყვის თავისუფლების ყალბი დროშის ქვეშ და ახორციელებს დადებითი ღირებულებების დემონიზებას, ხოლო მიუღებლის დანერგვას საზოგადოებაში. ლევან ვასაძე აცხადებს, რომ მისი მიზანია საქართველოში იდეოლოგიური რევოლუციის განხორციელება, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის გაგრძელება და ლიბერალური რესპუბლიკის მკვლელობა. გამოსვლაში ასევე ნახსენებია სიტყვა „ბენდუქიზმები“ და არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი ლიბერალური იდეოლოგიის დამკვიდრების საქმეში.¹²

მომდევნო გამოსვლაში ლევან ვასაძე უპირისპირდება თანამედროვე პოლიტიკურ მეინსტრიმს, ხოლო ლგბტ მანიფესტზე ხელმოწერ პარტიებს/ორგანიზაციებს, „ქართულ ოცნებას“, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, გლობალისტებს უწოდებს. იგი დასძენს, რომ სწორედ ლიბერალებმა გამოიგონეს ტერმინი „ბელადომანია“, გააუქმეს ლიდერის ფენომენი, სახელისუფლებო შტოების თავმოყრის პრინციპი და ძლიერი საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ვასაძის აზრით, აგრეთვე, უნდა განხორციელდეს გარე მმართველობის მინიმიზაცია საქართველოში და 180 გრადუსით ქვეყნის

¹¹ „ერთობა, რაობა, იმედი,“ <https://eri.ge> (17.07.2024).

¹² მსოფლიო საოჯახო კონგრესი, „ლევან ვასაძე - მოკლედ ნათქვამი #7: ლიბერალური იდეოლოგია,“ <https://www.youtube.com/watch?v=5e3gZGL7QV0> (17.07.2024).

შემოტრიალება.¹³

ტრილოგიის უკანასკნელი ეპიზოდი ეძღვნება „სასიცოცხლო გეოპოლიტიკის“ შესახებ მსჯელობას, სადაც „ერთობა, რაობა, იმედის“ დამფუძნებლის აზრით, უსამართლო ომებში დაღუპული ქართველი ჯარისკაცები, დამოუკიდებლობის 30 წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული კატასტროფული დეინდუსტრიალიზაციის შედეგები, რა დროსაც დაიხურა საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა, ხოლო სამრეწველო-საინჟინრო დაზგები უცხო ქვეყნებში გაიტანეს, ისევე როგორც შეზღუდული რუსული ტრადიციული ორგანული ბაზარი, ქმნის გეოპოლიტიკური ჩიხის მდგომარეობას. ვასაძის თანახმად, ხსენებული გეოპოლიტიკური მარაზმიდან გამოსავალი რუსეთთან დიალოგის დაწყებაა.¹⁴

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ და „პატრიოტთა ალიანსი“

2021 წლის 9 სექტემბერს ქართულ სატელევიზიო ეთერში გამოჩნდა სამაუწყებლო მედიასაშუალება „ალტ-ინფო“, რომელმაც ამავე წლის 20 ნოემბერს გამართა სადამფუძნებლო ყრილობა „კონსერვატიული მოძრაობის“ დაარსების შესახებ. როგორც საჯარო რეესტრის ამონაწერში ვკითხულობთ, პოლიტიკურ პარტიად „კონსერვატიული მოძრაობის“ რეგისტრაცია ოფიციალურად შედგა 2021 წლის 7 დეკემბერს. წესდების მიხედვით, პარტია მიზნად ისახავს საქართველოს კონსერვატიული იდეოლოგიის მქონე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, სადაც ქართულ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიას მინიჭებული ექნება განსაკუთრებული სტატუსი. პრიორიტეტებს შორისაა ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემების დაძლევა, ძლიერი ადმინისტრაციული ხელისუფლების შექმნა, სამხედრო მოსამსახურეებისა და სამართალდამცავებისთვის პრივილეგიების მინიჭება, კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის განვითარება, მედიისა და განათლების სფეროების გარეშე ინტერვენციისგან დაცვა, ისევე როგორც უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციების კონტროლი საკანონმდებლო დონეზე. წესდებაში ნახსენებია ტერმინი კულტურული და ეკონომიკური სტაბილურობა და ქრისტიანული დემოკრატიის ქვეყანაში დამკვიდრების გეგმა. პარტიის ოფიციალურ ვებსაიტზე ერთ-ერთ მთავარ ამოცანად პირდაპირ არის ნახსენები რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება, რადგან „მისტიური“ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის „ღია კარის პოლიტიკა“ ათწლეულების განმავლობაში უშედეგოა. „დასავლური“ ლიბერალური იდეოლოგიის დიქტატში ლგბტ ორგანიზაციების არსებობისა და პროპაგანდის მიჩნევა, „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ რიტორიკის ძირითადი მდგენელია.¹⁵

2021 წლის 7 დეკემბერს სადამფუძნებლო ყრილობაზე პარტიის წარმომადგენლებმა აირჩიეს თავმჯდომარე და გაავრცელეს პოლიტიკური გზავნილები საზოგადოების მისამართით:¹⁶ „მთელმა მსოფლიომ იხილა, რომ 2021 წლის 5 ივლისს საქართველოში ლიბერალური

¹³ მსოფლიო საოჯახო კონგრესი, „ლევან ვასაძე - მოკლედ ნათქვამი #8: ლიბერალური პოლიტიკა“, <https://www.youtube.com/watch?v=YQQWWrgUHEs> (17.07.2024).

¹⁴ მსოფლიო საოჯახო კონგრესი, „ლევან ვასაძე - მოკლედ ნათქვამი #9: სასიცოცხლო გეოპოლიტიკა“, <https://www.youtube.com/watch?v=qEgTzrYZn1w> (17.07.2024).

¹⁵ „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“, <https://conservativemovement.ge> (10.22.2023).

¹⁶ იქვე, 15

დიქტატურის დასასრული დაიწყო. საქართველოში, თუ არ ჩავთვლით პატარ-პატარა გამონათებებს, ვერ შეიქმნა პლატფორმა კონსერვატორებისთვის, როგორც ჩვენ ვეძახით ეროვნულებისთვის, რომლებიც შეძლებენ არჩევნებში ღირსეულად მონაწილეობას და ლიბერალური სისტემის შეცვლას. საქართველო ეროვნული იდეების აკვანია და ჩვენ ვაპირებთ იმ დიდი კონსერვატიული ერთობის შექმნას, რომელიც საბოლოოდ დაასრულებს ლიბერალურ დიქტატურას საქართველოში და ეს იქნება იმხელა მუხტი, რომ სხვა ქვეყნებსაც გადაედება“.

ყრილობის დასრულების შემდეგ პარტიის ლიდერებმა გამართეს პრესკონფერენცია, სადაც აღნიშნეს, რომ ლიბერალური დემოკრატიისგან იდეოლოგიურად განსხვავებული, ქრისტიანული დემოკრატიის დამყარებით არიან დაინტერესებულნი. მათი აზრით, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა კონსერვატიული ღირებულებების მატარებელია, რაც არ გამოხატავს ლიბერალური მემარჯვენე ან ლიბერალური მემარცხენე, ისევე როგორც „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიების ინტერესებს.¹⁷

„დღეს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის გადაწყვეტის გასაღები არის კრემლში და არა - ვაშინგტონში. თუ გვინდა, რომ საქართველოში მოსახლეობის უმეტესობა მომსახურე პერსონალი არ იყოს და ქართველმა რაიმე აწარმოოს და გაყიდოს, გვჭირდება გასაღების ბაზარი. 30 წელია არის გარკვეული მცდელობები, თუმცა ობიექტური რეალობაა, რომ გასაღების ყველაზე დიდი ბაზარი დღეს არის რუსეთის ფედერაცია და ყოფილი პოსტ-საბჭოთა სივრცე.“

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ თავმჯდომარე ზურაბ მახარაძემ დამატებით განაცხადა, რომ მორიგი ომი გარდაუვალი იქნება, თუ არ მოწესრიგდება ურთიერთობები ყველაზე დიდი საფრთხის შემცველ რუსეთის ფედერაციასთან. მისი თქმით, საქართველოში სიმშვიდე მხოლოდ მაშინ დაისადგურებს, როცა უცხოელების, ელჩების და ევროსტრუქტურების ნების გარეშე მოხდება სახელმწიფოს მშენებლობა.

2024 წლის 24 ივნისს „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოსა“ და „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა ხელი მოაწერეს პატრიოტთა ერთობის დეკლარაციას, რითაც ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის საერთო სიის შექმნა დააანონსეს. 2013 წელს დაარსებული პარტიის („პატრიოტთა ალიანსი“) ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ინაშვილმა განაცხადა, რომ „ფსევდოულტრალიბერალების გაერთიანება“ და ლიბერალი 'ქართული ოცნება', რომელიც ცდილობს, მოირგოს კონსერვატორის ნიღაბი, დღესდღეობით, ორი ძირითადი ძალაა ქვეყანაში“. ინაშვილმა, ასევე დასძინა, რომ „გაერთიანების მიზანია, ეროვნული, ქართული, კონსერვატიული, ტრადიციონალისტების დღის წესრიგის დამკვიდრება საქართველოს პარლამენტში“.¹⁸

¹⁷ იქვე, 15

¹⁸ კესო ქაფიანიძე, „ირმა ინაშვილი - ხელი მოეწერა პატრიოტთა ერთობის დეკლარაციას, რომლის მიზანია, პარლამენტში შევიდეს ეროვნული, ქართული, კონსერვატიული, ტრადიციონალისტების დღის წესრიგი,“ პირველი არხი, <https://1tv.ge/news/irma-inashvili-kheli-moewera-patriotta-ertobis-deklaracias-romlis-mizania-parlamentshi-shevides-erovnuli-qartuli-konservatiuli-traditionalistebis-dghis-wesrigi/> (17.07.2024).

„საქართველო უპირველეს ყოვლისა“

ახალგაზრდა პოლიტიკოსის, ვატო შაქარიშვილის ხელმძღვანელობით მოქმედმა საინიციატივო ჯგუფმა, 2023 წლის 12 ივნისს დააფუძნა „კონსერვატიული გაერთიანება - საქართველო უპირველეს ყოვლისა“, რომელიც ჯერჯერობით საზოგადოებრივი მოძრაობის ფორმით არსებობს და პოლიტიკურ პარტიად არ გარდაქმნილა. გაერთიანებას გააჩნია

„კონსერვატიული პორტალის“ სახელწოდებით ცნობილი საინფორმაციო-ანალიტიკური ვებსაიტი, სადაც ცალკე სექციად განთავსებულია „კონსერვატიული საკითხავი“, ედმუნდ ბერკის, ბენჯამინ დიზრაელის, მაიკლ უოკშოტის და სხვების სამეცნიერო ნაშრომების თანხლებით.¹⁹ „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, აგრეთვე, სარგებლობს სოციალური ქსელების გვერდებით, რომელთა უკანა ფონად დაყენებული სურათი გამოირჩევა წარწერით - „არამეინსტრიმული ამბები, რომელსაც ლიბერალური მედია კრძალავს“.

ტელეკომპანია „მაესტროს“ სამაუწყებლო არხზე 2022 წლის 8 ნოემბერს გავიდა გადაცემა „უცნობის კიდობანი“, სადაც სტუმრად მიწვეულმა ვატო შაქარიშვილმა გაავრცელა საკუთარი ხედვები ახალი კონსერვატიული ინტერნეტ-პორტალის თაობაზე: „იმისთვის, რომ ადამიანმა გააკეთოს სწორი არჩევანი, მას სჭირდება შესაბამისი რეალისტური ნამდვილი ამბავი და არა - ნეოლიბერალების მიერ გაფერადებული, მათ ინტერესებზე მორგებული მასალები. ამიტომ ჩვენ წამოვიდებით, ვთარგმნით და განვათავსებთ ჩვენს პორტალზე „დასავლური“ პრესისგან, საექსპერტო ორგანიზაციებისგან, ანალიტიკური წრეებისგან იმ მასალებს, რომლებიც დეკლარირების დონეზე ჩვენთან თანხვედრაშია“.²⁰

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 12 ივნისის სადამფუძნებლო შეკრებაზე, მოძრაობის ლიდერმა ვატო შაქარიშვილმა ახალი ქართველის გამოყვანის მცდელობაზე გაამახვილა ყურადღება, რომლის მიზეზია ლიბერალური დიქტატი და ყოველგვარი სულიერი და მორალური პრინციპებისგან დაცლილი ინდოქტრინაცია განათლების სისტემაში. რიგით მეორე გამომსვლელმა, დაჩი ცაგურიამ რუსეთი მტრად მოიხსენია, ხოლო ირაკლი ბათიაშვილმა ჩამოთვალა კონსერვატიზმის მამამთავარი თეორეტიკოსი ფილოსოფოსები, პრაქტიკოსი პოლიტიკოსები და აღნიშნა, რომ, ერთი მხრივ, კონსერვატიზმი ევროპის წიაღიდან იღებს სათავეს, ხოლო, მეორე მხრივ, კონსერვატიული იდეოლოგიის დაკავშირება პრორუსულ პოლიტიკასთან უვიცობის გამოვლინებაა. შესაბამისად, მისი აზრით, კონსერვატიული მსოფლმხედველობა ქართული საზოგადოების უმრავლესობის ნებას გამოხატავს. დასასრულს, ბათიაშვილმა ქრისტიანობის დასაცავად ვალდებულება გამოხატა და ნეომარქსისტებს, გლობალისტებს, „ფსევდო“ ნეოლიბერალებს „ბარბაროსები“ უწოდა. გამომსვლელებს შორის ფიგურირებდა პროფესორი პაატა ჩხეიძე, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა ე.წ. „ვოუქიზმი“ და მას ამერიკაში წარმოშობილი რადიკალური მემარცხენე მოძრაობა უწოდა. შეკრებაზე მრავლად ისმოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საწინააღმდეგო მოწოდებები, უკრაინის ომის

¹⁹ „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, <https://geo-first.com> (17.07.2024).

²⁰ ვატო შაქარიშვილი (Facebook), „რას ისახავს მიზნად კონსერვატიული პორტალი 'საქართველო უპირველეს ყოვლისა',“ ტელეკომპანია მაესტრო - „უცნობის კიდობანი“ (08.11.2022).

კონტექსტში „ნატოსა“ და რუსეთის დახასიათება

„შმაგ იმპერიებად“. შეხვედრის ბოლო წუთებში, მიკროფონთან კვლავ ვატო შაქარიშვილი მივიდა, დააანონსა პლებისციტის ჩატარება მთელი საქართველოს მასშტაბით, საჯარო სივრცეებსა და მასმედიაში არასრულწლოვნებს შორის ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის თაობაზე და განაცხადა, რომ ლიბერალიზმს, დღეს, ბოლშევიზმისა და ფაშიზმის მსგავსად პროგრესის დროშა უჭირავს, ლიბერალური მედია კი ევროპის მოდელირებულ ვერსიას გვთავაზობს. აღსანიშნავია, რომ გამომსვლელებს შორის სამჯერ გაიჟღერა სიტყვამ „ჭინკა“ ლიბერალებისა და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მისამართით.²¹

2023 წლის 17 ივნისს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოეწყო „ინდივიდუალური თავისუფლების ინსტიტუტის“ ახალგაზრდული ბანაკი, სახელწოდებით „ლიბერალური განათლების აკადემია“, რომლის წინააღმდეგაც გამართულ აქციაზე რამდენიმე ათეულ ადამიანს შორის იმყოფებოდა მოძრაობის „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ ლიდერი ვატო შაქარიშვილი: „არანაირი ქვების სროლა არ ყოფილა. ეს იყო აღელვებული საზოგადოება, ქართველი ხალხი, ბორჯომელები, ახალციხელები, ბაკურიანელები, ჩვენი მოძრაობის მხარდამჭერები, რომლებიც არასდროს შეეგუებოდნენ იმას, რომ ამ ქვეყნის მტრებმა მოწამლონ ახალგაზრდები. ძალადობა არის ის, რასაც ზურა ჯაფარიძე აკეთებს და რასაც თქვენი ტელევიზია აკეთებს“.²²

კვლევის შედეგები

ისტორიული მეთოდი უმეტესად გამოყენებულია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შეფასების კონტექსტში. ნაშრომში წარმოდგენილია როგორც ინდუქციური, ასევე დედუქციური მეთოდები, რომლებითაც მიიღწევა კონკრეტული დასკვნებით და ნაშრომი აგებულია დედუქციურ მეთოდზე, რომელშიც საწყის ეტაპზე ზოგადად განიხილება უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის გლობალური მიგრაციის კონტექსტში. კვლევის პროცესში გაანალიზებულია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესში წარმოშობილი პრობლემები და შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელიც დაეხმარება თეორეტიკოსს ან პრაქტიკოსს კონკრეტულ შემთხვევაში ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრაში.

კვლევა განეკუთვნება როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივი კვლევის ტიპს. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა გამოკითხვის მეთოდი, რომელიც განხორციელდა წინასწარ შემუშავებული ანკეტა-კითხვარით. კვლევაში ჩართვამდე, კვლევის ეთიკის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებიდან გამომდინარე, მონაწილეებს ეცნობათ, რომ მათი კვლევაში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო კვლევის შედეგებისთვის, ასევე განემარტათ კვლევაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის შესახებ და მათი პაუზების კონფიდენციალურობის დაცვაზე.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 158-მა რესპოდენტმა, მათ შორის საჯარო სექტორში დასაქმებული - 24.1%, კერძო სექტორში დასაქმებული- 32.9% და სტუდენტები – 43%. სქესის მიხედვით შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა - მდედრობითი 39.9% და მამრობითი 60.1%. ასაკის მიხედვით გამოკითხულთა უმეტესობა არის 32-47 წლის.

კვლევის განხორციელების მიზნით კვლევაში ჩართულ პირებს შეეთავაზათ 8 (რვა) კითხვა სავარაუდო პაუზებით, სადაც მათ ასევე ჰქონდათ აზრის თავისუფალი დაფიქსირების უფლება.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში გამოყენებულია ავტორთა ჯგუფის ნაშრომი, ე. ალავერდოვი, თ. დარჩია, ნ. ოთხოზორია, ნ. ლაცაბიძე, ნაშრომი „მიგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოში: გამოწვევები და პერსპექტივები“. კრებულში წარმოდგენილია პროექტის ჩარჩოებში შესრულებული თემა „მიგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოში“. აღნიშნული საკითხი გლობალიზაციის ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელიც პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, რელიგიურ, დემოგრაფიულ და სხვა პრობლემებს მოიცავს. კვლევაში ავტორების მიერ წინ არის წამოწეული ევროკავშირისა და აშშ-ის დამოკიდებულება მიგრაციული პროცესების და, მათ შორის,

ლტოლვილთა მიღების მიმართ. მოცემულია საქართველოს ხელისუფლების საიმიგრაციო სტრატეგია და ტაქტიკა. ნაშრომში ვრცლად არის საუბარი თანამედროვე მსოფლიოში მიგრაციული პროცესების ზრდის უაღრესად საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე. ასევე განხილულია ნებაყოფლობითი მიგრაცია, რომელიც სხვა ადგილას დასახლების მიზნით ძირითადად ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარეობს, რისი ხელშემწყობი ფაქტორია ტექნოლოგიების განვითარება, შრომის ბაზრის მრავალფეროვნება, თუნდაც ცვლილებების სურვილი. ასევე საინტერესოდ არის განხილული ბოლო დროს ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობის საგრძნობლად გაზრდის შედეგები, რის გამოც განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დადგა ევროკავშირი, როგორც ლტოლვილთა კრიზისის ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, მათ შორის: International Organization for Migration (IOM), “World Migration Report 2020”. მსოფლიო მიგრაციის ანგარიში 2020, მეათე მსოფლიო მიგრაციის ანგარიშების სერიიდან, მომზადდა იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს მიგრაციის გააზრებას მთელ მსოფლიოში. ეს ახალი გამოცემა წარმოადგენს ძირითად მონაცემებსა და ინფორმაციას მიგრაციის შესახებ, ასევე თემატურ თავებს მიგრაციის ძალიან აქტუალურ საკითხებზე. ასევე International Organization for Migration (IOM), “World Migration Report 2022”. 2000 წლიდან IOM აწარმოებს მსოფლიო მიგრაციის ანგარიშებს. მსოფლიო მიგრაციის ანგარიში 2022, მეთერთმეტე მსოფლიო მიგრაციის ანგარიშების სერიიდან, მომზადდა იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს მიგრაციის გააზრებას მთელ მსოფლიოში. ეს ახალი გამოცემა წარმოადგენს ძირითად მონაცემებსა და ინფორმაციას მიგრაციის შესახებ, ასევე თემატურ თავებს მიგრაციის ძალიან აქტუალურ საკითხებზე.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა საქართველოს 2021 – 2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა წინა წლების სტრატეგიის ანალიზის საფუძველზე. სტრატეგიის განხორციელების პერიოდში როგორც ადგილობრივად, ისე რეგიონულად და გლობალურად, მიგრაციის სფეროში მომხდარი ძვრების და მათთან დაკავშირებული ცვლილებების კვალდაკვალ, წარმოიშვა ახალი გამოწვევები, სწორედ ამიტომ 2021-2030 წწ. მიგრაციის სტრატეგიის მიზანია, მოერგოს ახალ რეალობას და გააგრძელოს თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავება. არსებული გამოცდილების და სტრატეგიის გრძელვადიანი ბუნების გათვალისწინებით, მისი ამოცანები უფრო ზოგადი ხასიათისაა. სამაგიეროდ, კონკრეტული ქმედებები აქტივობების დონეზე განისაზღვრება სამოქმედო გეგმებში. ეს, ერთი მხრივ, გამორიცხავს ამოცანების შესრულებისას ღონისძიებების დუბლირებას, ხოლო, მეორე მხრივ, მარტივად მიუსადაგებს ამ აქტივობებს შესაბამის ამოცანებს და უზრუნველყოფს მყარ, ლოგიკურ ურთიერთკავშირს. ამასვე ხელს უწყობს მიგრაციის სფეროში ან/და ამ სფეროსთან დაკავშირებული უწყებების დარგობრივი სტრატეგიების არსებობა, მათი გამართული მუშაობა და კავშირი სექტორულ სტრატეგიასთან. ეს, თავის მხრივ, აფართოებს მოქმედების არეალს და განხორციელების მექანიზმზე (ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაზე) ფოკუსირების შედეგად უზრუნველყოფს იმპლემენტაციის პროცესის მოქნილობას და მეტ ეფექტიანობას. შესაბამისად, ასეთი სტრატეგია აყალიბებს ქვეყნის გრძელვადიან ხედვას მიგრაციის სფეროს მთავარ მიმართულებებზე და ამავდროულად უფრო მეტ მოთხოვნას უყენებს განხორციელების პროცესს, მის მექანიზმსა და მასში ჩართულ უწყებებს.

ნაშრომში გამოყენებულ იქნა ავტორის სხვა ნაშრომები, მათ შორის აღსანიშნავია ბოჭორიშვილი, ნინო, 2021, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო რეგიონალური და უნივერსალური სახელშეკრულებო ორგანოები და მათი მნიშვნელობა, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

სამართლის მაცნე და Bochorishvili, Nino. 2023. Global Migration, Discrimination, and the Internationalization of Higher Education, Handbook of Research on the Regulation of the Modern Global Migration and Economic Crisis.

ასევე გაანალიზდა არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი, მათ შორის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1990 წელს მიღებული ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია.

ძირითადი ნაწილი

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო მიგრაცია¹. გლობალიზაციისა და მის ფონზე მობილობის გაზრდილი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ადამიანებს მეტი საშუალება ეძლევათ, ისწავლონ და იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მიგრანტების უდიდესი ნაწილი დასაქმების, განათლების და ოჯახის გაერთიანების გამო მიგრირებს². შრომის ბაზარი, ისევე როგორც განათლების სექტორი, გლობალური გახდა და ადამიანებს, დასაქმებისა და სწავლის უკეთესი პირობების გათვალისწინებით, დროებითი თუ მუდმივი მიგრაციის შესახებ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მიეცათ. ამ გლობალური მიგრაციული პროცესების მიღმა არც საქართველო დარჩენილა. საქართველოს შემთხვევაშიც ლეგალურ მიგრაციას (როგორც ემიგრაციას, ასევე იმიგრაციას) ძირითადი მიზეზი მაინც შრომითი მიგრაციაა³.

მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, გარე მიგრანტთა, (რომელთა გადინება ქვეყნიდან „ტვინების დაკარგვის“ პრობლემას წარმოშობს), სამართლებრივი მდგომარეობა ძალიან აქტუალურია საქართველოსთვისაც, ვინაიდან 4-მილიონიანი ქვეყნისთვის, რომელიც გაეროს მონაცემებით, უკვე 20 წელიწადში მწვავე დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დადგება და რომელსაც არა მხოლოდ დემოგრაფიული, არამედ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები შეიძლება შეექმნას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გლობალური მასშტაბით მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესწავლა და ანალიზი, ისევე როგორც პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიებისთვის საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება⁴.

მიგრაციის მიზეზები შეიძლება იყოს წამახალისებელი და მიმზიდველი ფაქტორები. ეს ფაქტორებია მიგრაციის ძირითადი მამოძრავებელი მიზეზები. პირველი ანუ „წამახალისებელი“ ფაქტორი „push factor“ აიძულებს ან უბიძგებს ადამიანს მიგრაციისა და თავისი სამშობლოს დატოვებისკენ, ხოლო მეორე „pull factor“ ანუ მიმზიდველი ფაქტორი იზიდავს და ხიბლავს ადამიანს თავის ქვეყნით. „წამახალისებელი და მიმზიდველი“ ფაქტორი – ეს ისეთი გამომწვევი

¹ მიგრაციის მონაცემთა პორტალი https://migrationdataportal.org/data?i=stock_abs_&t=2019

² World Migration Report 2020. Chapter 2 - Migration and Migrants: A Global Overview. IOM. https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2020_en_ch_2.pdf

³ „საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი“, მსსკ. http://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf

⁴ ავტორთა ჯგუფი, ე. ალავერდოვი, თ. დარჩია, ნ. ოთხოზორია, ნ. ლაცაბიძე, ნაშრომი „მიგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოში: გამოწვევები და პერსპექტივები“. კრებული, „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემები“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2020.

<https://drive.google.com/file/d/1nU7QuFbZkMsmLSjtuJ7F24TSM7YknCh/view?usp=sharing>

ფაქტორია, რომელიც აიძულებს ან უზიდავს ადამიანს თავისი სამშობლოს მიტოვებისა და საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადასვლისაკენ. აღნიშნული ფაქტორის სახეები შეიძლება იყოს: ცუდი სამედიცინო მომსახურება; უმუშევრობა; ნაკლები შესაძლებლობები; საცხოვრებელი პირობები; პოლიტიკური ზეწოლა; წამებისა და არასათანადო მოპყრობის შიში. „მიმზიდველი“ ფაქტორი კი ადამიანს ისე ხიბლავს, რომ იგი მზადაა საცხოვრებლად გარკვეულ ქვეყანაში გადავიდეს. მაგალითად სამსახურის შანსი; უკეთესი საცხოვრებელი პირობები; გართობა; განათლება⁵.

განხორციელებული კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა 54.8%-ის აზრით გლობალური მიგრაცია დადებით გავლენას ახდენს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციაზე, 29.7%-ის აზრით გლობალური მიგრაცია უარყოფით გავლენას ახდენს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციაზე, ხოლო 16.5%-ს პასუხი არ აქვს დასმულ შეკითხვაზე.

გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში განხორციელებული მობილობისას ან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის დროს სტუდენტები ურთიერთობას ამყარებენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, გეგმავენ სამომავლო ურთიერთობების გაღრმავებას. აგრეთვე ენის ცოდნის გაღრმავების კუთხითაც კარგი შესაძლებლობაა.

განხორციელებული კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა 50.6% აცხადებს, რომ არ უსარგებლიათ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით, 39.2% აცხადებს, რომ უსარგებლიათ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით, ხოლო 12%-ს არ აქვს პასუხი დასმულ შეკითხვაზე. გამოკითხულთა ნაწილი აცხადებს, რომ ჯერ არა, მაგრამ მომავალში აპირებს ისარგებლოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით, ვინაიდან მიაჩნია, რომ ამ ყოველივეს: 1. მეტი არეალის შექმნა შეუძლია მათთვის. 2. უცხოური განათლების ინოვაცია მისცემს შესაძლებლობას საკუთარ ქვეყანაში მრავალმხრივი ხედვისა 3. პრაქტიკა ყოველთვის მნიშვნელოვანია რეალურად დაინახო და აღიქვა პირმა ის საკითხი, რაც შესაძლებელია, რომ შენი მხრიდან იწვევდეს ინტერესს. რამდენიმე გამოკითხულმა ხაზი გაუსვა მის მიერ ისეთ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას, როგორიცაა - Erasmus+ Capacity Building.

კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად არიან ჩართული ევროკავშირის პროგრამების ფარგლებში (Erasmus+; Erasmus Mundus Joint Master Degree, Erasmus+ Capacity Building) და განათლების სამინისტროს სისპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამები.

საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 30 დეკემბერს დაამტკიცა საქართველოს 2021 – 2030 წლებისმიგრაციისსტრატეგია⁶. რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოში მიგრაციის მართვის სისტემის განვითარებას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ევროკავშირთან დაახლოების პროცესის დაჩქარებამ⁷. აღნიშნულ პერიოდში მართვის სისტემის ჩამოყალიბების, გაუმჯობესების და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შემუშავდა 2013-2015 და 2016-2020 წლების

⁵ იქვე.

⁶ საქართველოს 2021 – 2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება №810, 2020 წლის 30 დეკემბერი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5074437?publication=0>

⁷ „ევროპული სამეზობლო პოლიტიკა“ - 2003 წ.; „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა“ და „პარტნიორობა მობილობისთვის“- 2009 წ.; „ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივებისა“ და „რეადმისიის“ შესახებ შეთანხმებები - 2010 წ.; „სავიზო დიალოგი“ - 2012 წ.; „ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა“ - 2013-15 წწ.; „ასოცირების შეთანხმება“ - 2014 წ.; უვიზო მიმოსვლა და V LAP-ის გრძელვადიანი დავალებების განხორციელება - 2017 წ. და შემდგომ.

მიგრაციის სტრატეგიები⁸. ასევე, 2010 წლიდან ფუნქციონირებს მართვის კორპორაციული მოწყობის ორგანო – მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიაში გათვალისწინებული იყო ადრეული სტრატეგიების განხორციელების შედეგად დაგროვილი გამოცდილება და ის ახალი რეალობა, რომელიც 2015 წლის მდგომარეობით, „ასოცირების შეთანხმებამ“ და „ვიზალიბერალიზაციის“ სამოქმედო გეგმამ⁹ შექმნეს. სტრატეგიის განხორციელების პერიოდში როგორც ადგილობრივად, ისე რეგიონულად და გლობალურად, მიგრაციის სფეროში მომხდარი ძვრების და მათთან დაკავშირებული ცვლილებების კვალდაკვალ, წარმოიშვა ახალი გამოწვევებიც. ამიტომაც 2021-2030 წწ. მიგრაციის სტრატეგიის მიზანია, მოერგოს ახალ რეალობას და გააგრძელოს თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავება.

სტრატეგიაში ხაზგასმულია უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების მზარდი რიცხვი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში და ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატების გაზრდა უცხოურ უნივერსიტეტებთან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების კვლევებს. როგორც აღნიშნული კვლევები აჩვენებს, უცხოელი სტუდენტების ინტერესი, ისწავლონ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, მზარდია. უცხოელ სტუდენტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ როგორც ქვეყნის ეკონომიკაში⁹, ასევე უნივერსიტეტების განვითარებაში. მათ მიერ გადახდილი სწავლის საფასური ქართულ უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში და განავითარონ ახალი საგანმანათლებლო პროგრამები.

გამოკითხვისას დასმულ კითხვაზე მზარდია თუ არა უცხოელი სტუდენტების ინტერესი, ისწავლონ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გამოკითხულთა 34.8%-ის აზრით მზარდია, რადგან საქართველოში არსებობს მრავალფეროვანი უცხოური პროგრამები. 36.1%-ის აზრით ნაწილობრივ მზარდია, რადგან უმეტესად პროგრამები მხოლოდ ინგლისურ ენაზე შეეთავაზებათ. 16.5%-ის აზრით არ არის ზარდი, რადგან საქართველოში განათლების მიღება მათთვის მიმზიდველი არ არის. ხოლო 12.7%-ს არ მაქვს პასუხი დასმულ კითხვაზე.

გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ნაწილობრივადაა მზარდი, ვინაიდან სამწუხაროთ, ძირითადად ინდოელები ჩამოდიან სამედიცინო პროგრამებზე სასწავლებად. კიდევ მცირე რაოდენობა აზერბაიჯანიდან ჩამოდიან სასწავლებლად, მაგრამ სამწუხაროა, რომ ისინი განათლებს მისაღებად არ ჩამოდიან, ძირითადად თავის ქვეყანაში ჩაჭრილი სტუდენტები არიან ვინც ჯარში წასვლას გაურბის და იმისთვის სულ ერთია რომელ პროგრამაზე ჩაირიცხება. ძირითადად საქართველოში ამ ორ ქვეყნიდან ჩამოდიან სტუდენტები, თუ არ ჩავთვლით ნიგერიელებს და პაკისტანლებს. ანუ გამოდის რომ საქართველოში განათლების მიღება ევროპელ ახალგაზრდებისთვის არაა პრიორიტეტული.

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, მაგალითის სახით აღსანიშნავია ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომლის მიზანია,

⁸ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია http://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0

⁹ ISET-ის კვლევის თანახმად, უცხოელი სტუდენტები ყველაზე მეტს, 28 მილიონ აშშ დოლარს, სწავლის საფასურში და 16.7 მილიონ აშშ დოლარს საცხოვრებელი ფართის ქირაში იხდიან. საქართველოში უცხოელი სტუდენტების ჯამური წლიური ფინანსური ხარჯი 195 მილიონ ლარს აღწევს. „მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი - უცხოელი სტუდენტები საქართველოში“, მსსკ. 2017 წ.

http://migration.commission.ge/files/migraciis_profil_i_a5_geo.pdf

რეგიონში გახდეს განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრი, რის შედეგადაც საქართველო მოწინავე ადგილს დაიკავებს საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო არენაზე¹⁰. აღნიშნული საერთაშორისო რანგის კვლევითი ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს გამორჩეული უცხოელი მკვლევარების მოსაზიდად საქართველოში. უცხოეთში კვლევითი მობილობისა თუ სამეცნიერო სტაჟირების ხელშეწყობის მიზნით, განათლების სამინისტროს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი ახორციელებს ერთობლივ საგრანტო კონკურსებს სხვადასხვა უცხოურ კვლევით ინსტიტუტთან.

გამოკითხვისას დასმულ კითხვაზე საქართველოში კვლევების განხორციელების გაზრდის მიზნით რა აუცილებელი პირობების არსებობაა საჭირო, გამოკითხულთა 63.9%-ის აზრითაუცილებელია კვლევისა და ინოვაციის სისტემაში ადმინისტრაციული სირთულეების შემცირება. 44.3%-ის აზრით კვლევების განხორციელების პროცედურების გამარტივება არის საჭირო. 37.3%-ის აზრით მნიშვნელოვანია კვლევითი და ინოვაციური გრანტების ცენტრალიზებულად აღრიცხვა. 44.3%-ის აზრით აუცილებელია შემუშავდეს საერთაშორისო ბიზნესსასტიპენდიო სქემები. ხოლო 42.4%-ის აზრით შეუფერხებლად უნდა ხდებოდეს უცხოური ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება.

გამოკითხულთა 51.3%-ის აზრით უნდა ხდებოდეს უცხოეთიდან საქართველოში შემოსული და საქართველოდან უცხოეთში კვლევითი საქმიანობის მიზნით გამსვლელი მეცნიერ-მკვლევარების რეესტრის წარმოება. 29.7%-ის აზრით არ უნდა ხდებოდეს უცხოეთიდან საქართველოში შემოსული და საქართველოდან უცხოეთში კვლევითი საქმიანობის მიზნით გამსვლელი მეცნიერ-მკვლევარების რეესტრის წარმოება. ხოლო 19%-ს პასუხი არ მაქვს დასმულ კითხვაზე. გამოკითხულთა 46.8% თვლის, რომ უნდა შეიქმნას ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი ინდიკატორების მქონე, საინფორმაციო სისტემა (მონაცემთა ბაზა), რაც გაადვილებს კვლევებისა და სწავლის მიზნით საერთაშორისო მობილობას. 28.5% თვლის რომ არ უნდა შეიქმნას ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი ინდიკატორების მქონე, საინფორმაციო სისტემა (მონაცემთა ბაზა), რაც გაადვილებს კვლევებისა და სწავლის მიზნით საერთაშორისო მობილობას. ხოლო 24.7%-ს პასუხი არ აქვს დასმულ შეკითხვაზე. გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ვინც ენა იცის და ოდნავ ჩახედულია ამ სისტემაში ისედაც გაერკვევა, ხოლო ვინც არ იცის ენა და სამუშაო იმისთვის აზრი არ აქვს. ნაწილის აზრით ნამდვილად უნდა არსებობდეს ისეთი მექანიზმები რაც უფრო მარტივს გახდიდა საქართველოდან უცხოეთში მობილობით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. ხოლო ნაწილს მიაჩნია, რომ ეს ყოველივე ნამდვილად საჭიროებს არსებობას ვინაიდან ამ თვალსაზრისით ერთგვარად გამარტივდება და ამავდროულად ნათელი გახდება კვლევებისა და სწავლის მიზნით გაკეთებული საერთაშორისო მობილობა.

კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში კვლევების განხორციელების გაზრდის მიზნით, აუცილებელია კვლევისა და ინოვაციის სისტემაში ადმინისტრაციული სირთულეების შემცირება და შესაბამისი პროცედურების გამარტივება. ამჟამად არ ხდება სამეცნიერო, კვლევითი და ინოვაციური გრანტების ცენტრალიზებულად აღრიცხვა, ასევე უცხოეთიდან საქართველოში შემოსული და საქართველოდან უცხოეთში კვლევითი საქმიანობის მიზნით გამსვლელი მეცნიერ-მკვლევარების რეესტრის წარმოება. ამ მიზნით, აუცილებელია შეიქმნას ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი ინდიკატორების მქონე, საინფორმაციო სისტემა (მონაცემთა ბაზა). ხოლო, ახალგაზრდა მეცნიერებისთვის უნდა შემუშავდეს საერთაშორისო

¹⁰ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი <https://kiu.edu.ge/geo/about-us>

ბიზნესსასტიპენდიო სქემები, რაც გულისხმობს ქართულ კომპანიებში უცხოელი პერსპექტიული მეცნიერების მოზიდვას და ქართველი ახალგაზრდა მეცნიერების უცხოურ ინდუსტრიულ კომპანიებში სამეცნიერო-კვლევითი მიზნებით საშუალოვადიან მივლინებას.

განათლების ინტერნაციონალიზაციის კუთხით, ერთ-ერთი საკვანძო საკითხია უცხოური ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება. აღნიშნული მიმართულებით უკანასკნელ წლებში მოწესრიგდა სამართლებრივი ბაზა და დაინერგა როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები. შეიქმნა არაფორმალური განათლების აღიარების ელექტრონული სისტემა და შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების გზამკვლევი¹¹.

გამოკითხულთა 46.2%-ის აზრით მნიშვნელოვანია არსებობდეს მიგრაციის საკითხების სრულფასოვანი შესწავლის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები. 30.4%-ის აზრით მნიშვნელოვანია არ არის არსებობდეს მიგრაციის საკითხების სრულფასოვანი შესწავლის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები. ხოლო 23.4%-ს პასუხი არ აქვს დასმილ კითხვაზე. ნაწილი გამოკითხულების აზრით ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში სადაც მიგრაცია შეუქცევადი პროცესია სწორედ ამიტომ, რაც მეტია ინფორმაცია დაინტერესებული საკითხისადმი, მით მეტია სწორი, კარგად ჩამოყალიბებული და გააზრებული გადაწყვეტილებების მიღების ალბათობა.

გამოკითხულთა 47.1%-ის აზრით მნიშვნელოვანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედ აკრედიტებულ პროგრამებში, სტუდენტებს შეეთავაზოთ მიგრაციის თემატიკასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები. 29.9%-ის აზრით მნიშვნელოვანი არ არის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედ აკრედიტებულ პროგრამებში, სტუდენტებს შეეთავაზოთ მიგრაციის თემატიკასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები. ხოლო 22.9%-ს პასუხი არ აქვს დასმულ შეკითხვაზე.

გამოკითხულთა ნაწილის აზრით სასწავლო კურსები სტუდენტებს მისცემს გარკვეულ ცოდნას მიგრაციის შესახებ. ნაწილის აზრით სრულად რელევანტურია, ის გარემოება, რომ სტუდენტებს შეეთავაზოთ მიგრაციის თემასთან დაკავშირებული სასწავლო კურსი, ვინაიდან ფიქრობენ რომ ეს ერთი-ორად გაზრდის სტუდენტის, როგორც პერსპექტიული ადამიანის აზრობრივ არეალს და გააუმჯობესებს მის ხედვას უშუალოდ თუნდაც გაცვლითი პროგრამით სარგებლობის მნიშვნელობაზე.

კვლევამ ცხადყო, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის კუთხით მნიშვნელოვანია არსებობდეს მიგრაციის საკითხების სრულფასოვანი შესწავლის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც მიგრაციის თემატიკა სტუდენტების შეეთავაზებათ სასწავლო კურსის სახით. საქართველოში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი¹². ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ითვალისწინებს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) მოთხოვნებს.

¹¹ Bochorishvili, Nino. 2023. Global Migration, Discrimination, and the Internationalization of Higher Education, Handbook of Research on the Regulation of the Modern Global Migration and Economic Crisis. <https://www.igi-global.com/chapter/global-migration-discrimination-and-the-internationalization-of-higher-education/318768>

¹² ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო <https://eqe.ge/ka/page/parent/787/erovnuli-kvalifikatsiebis-charcho>

დოკუმენტი აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, ასახავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგებს. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო აყალიბებს, თუ რა ცოდნა, უნარი და პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს პირს შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად.

სწავლის სფეროების კლასიფიკატორი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით ითვალისწინებს მიგრაციის კვლევების სამაგისტრო პროგრამის შემუშავების შესაძლებლობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. მიუხედავად ამ შესაძლებლობისა საქართველოში აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს მხოლოდ ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც 2014-2018 წლებში მიგრაციის მართვაში სამაგისტრო პროგრამის განხორციელება შეძლო საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა მოხდა ტემპუსის გრანტის ხელშეწყობით. 2019 წელს კი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დამოუკიდებლად შეძლო განახლებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მიგრაციის მართვის“ სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია, აღწიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ აკადემიური ხარისხი - მიგრაციის კვლევების მაგისტრი სოციალური მეცნიერებებში¹³.

საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს ის, რომ საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ფონზე, მძლავრი ინფრასტრუქტურული ცვლილებების წყალობით, ქვეყანა მიმზიდველი ხდება ტურისტებისათვის, იწვევს ტურისტებისთვის. ეს ხელს უწყობს ქვეყანაში მეტი კაპიტალის შემოდინებას და ცხოვრების დონის ამაღლებას. ყოველივე ეს კი მიგრანტთა წაკადების მოსალოდნელი ზრდისა და ქვეყნის წინაშე ახალი გამოწვევების წარმოშობის იწვევს. იმისათვის, რომ საქართველო მზად დახვდეს ახალ გამოწვევებს, საჭიროა კვალიფიციური კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და მათი ინტეგრირება შესაბამის უწყებებში. სწორედ ამ მიზანს ეხმიანება მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის შექმნა და მის ფარგლებში ახალგაზრდა პროფესიონალების მომზადება. ამასთან, მიგრაციის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მიგრაციის კვლევისადმი კომპლექსური მიდგომა და პრობლემის ანალიზი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა ასპექტების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას. სწორედ ამიტომ, სამაგისტრო პროგრამა მოიცავს ინტერდისციპლინურ სფეროებს (საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებები, კულტურათმორისი ურთიერთობები, კულტურათმორისი კავშირები, კონფლიქტის მენეჯმენტი, გენდერული მეცნიერებები და აშ).

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო. პროგრამების უმეტესობა ითვალისწინებს მიგრაციასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის შესწავლას. რაც შეეხება საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მხოლოდ წაწილი, ითვალისწინებს საერთაშორისო მიგრაციის სასწავლო. კურსების შესწავლას სტუდენტებისათვის. კერძოდ, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა აწდრია პირველწოდებულის

¹³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება.
<https://eqe.ge/media/11541/N11514.05.2019.pdf>

სახელობის ქართული უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო სამართლის საზაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს საერთაშორისო თანამედროვე მიგრაციის სასწავლო კურსს. კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტს თანამედროვე მიგრაციული პროცესები. საერთაშორისო მიგრაციის არსი და მისი გავლენა გლობალურ პოლიტიკაზე. ასევე მისცეს ცოდნა მიგრაციის პოლიტიკის რეგულაციებისა და საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე ტენდენციების შესახებ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო სამართლის საზაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო კურსი სახელწოდებით - ისლამის თანამედროვე ტენდენციები ევროპაში. აღწიშული სასწავლო კურსის მიზანია მისცეს სტუდენტს ცოდნა ევროკავშირის ქვეყნებში ისლამის თანამედროვე ტენდენციების და მათი. შედეგების შესახებ. შეასწავლოს სტუდენტს ისლამის ადგილი და როლი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისლამის აღქმა ევროპულ საზოგადოებაში და ისლამოფობიის პრობლემა. გაწუვითაროს სტუდენტს ანალიზის უნარი ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკის შესახებ მუსულმანების მიმართ და შეასწავლოს მულტიკულტურალიზმის კონცეფცია და მისი განხორციელება.

იმისათვის, რომ საქართველო მზად დახვდეს ახალ გამოწვევებს, საჭიროა კვალიფიციური კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და მათი ინტეგრირება შესაბამის უწყებებში, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე სასწავლო კურსები, რომლებიც სიღრმისეულად შეასწავლის ქართველ და უცხოელ სტუდენტებს მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. რაც ერთიანობაში მნიშვნელოვნად გაზრდის უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას, უცხოელი სტუდენტების რიცხვს ჩვენს ქვეყანაში, ასევე ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოში შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი - საქართველოს კანონი “შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2015 წლის 1 აპრილს¹⁴, რომელიც განსაზღვრავს შრომითი მიგრაციის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს, ურთიერთობებსა და სუბიექტებს, შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელ ორგანოებს და მათ უფლება მოვალეობებს და ადგენს შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განხორციელების პრიწციპებსა და მექანიზმებს.

საქართველოში მიგრაციის საკითხების სამთავრობო დონეზე მოწესრიგებას, ასევე ხელს უწყობს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული საქართველოს 2021 – 2030 წლების მიგრაციის სტრატეგია¹⁵.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან მხოლოდ ცხრა აარსებს სახელშეკრულებო ორგანიზაციას, ესენია:

1. ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომელსაც საქართველო შეუერთდა 1994 წლიდან.
2. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი 1981. CEDAW. საქართველო

¹⁴ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732?publication=3>.

¹⁵ საქართველოს 2021 – 2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგეწილება. e810, 2020 წლის 30 დეკემბერი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5074437?publication=0>

მიუერთდა 1994 წელს. დამატებითი ოქმი მალაშია 2002 წლიდან.

3. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი. 1969, CERD საქართველო მიუერთდა 1999 წელს. ინდივიდუალური განაცხადების დასაშვებობა 2005 წლიდან.
4. სოციალურ, ეკონომიკური და კულტურული უფლებების კომიტეტი.
5. ბავშვთა უფლებების კომიტეტი 1991. CRC
6. კომიტეტი წამების წინააღმდეგ. 1988. CAT. საქართველო მიუერთდა 2005 წელს.
7. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი. 1908, CRPD. საქართველო მიუერთდა 2014 წელს. საქართველო არა არის დამატებითი ოქმის მონაწილე.
8. მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების კომიტეტი 1985, CMW. საქართველო არა არის მონაწილე.
9. იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების კომიტეტი. საქართველო არ არის მონაწილე¹⁶.

აქედან საქართველომ ინდივიდუალური განაცხადებების წარდგენის 5 მექანიზმზე: გამოთქვა თანხმობა, ესეწია: 1. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით შექმნილი - ადამიანის უფლებათა კომიტეტი. 2. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით - ქალთა დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტი. 3. წამების წინააღმდეგ კონვენციის ფარგლებში შექმნილი - წამების საწინააღმდეგო კომიტეტი. 4. რასობრივი დისკრიმინაციის კონვენციით შექმნილი - რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი. 5. ბავშვის უფლებათა კონვენციით შექმნილი - ბავშვის უფლებების კომიტეტი. რაც შეეხება ინდივიდუალური განაცხადებების წარდგენის კიდევ ერთ მექანიზმს - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციით შექმნილ - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტს, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციას ხელი 2014 წელს მოეწერა, დამატებითი ოქმი. დღემდე არ არის რატიფიცირებული, თუმცა ვიმედოვნებთ უახლოეს პერიოდში მოეწერება ხელი¹⁷. რაც შეეხება მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციას, მასზე ხელმოწერა საქართველოს არ გაუკეთებია.

მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის 43-ე მუხლით მიგრანტები სარგებლობენ თანაბარი მოპყრობით დასაქმებული სახელმწიფოს მოქალაქეების მზგავსად საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით¹⁸.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1990 წლის ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის

¹⁶ UNITED NATIONS HUMAN RIGHTS office of the high commissioner <https://indicators.ohchr.org/>

¹⁷ ბოჰორიშვილი, ნინო, 2021, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო რეგიონალური და უნივერსალური სახელმწიფოებო ორგანოები და მათი მნიშვნელობა, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი სამართლის მაცნე. [HTTP://HERALDOFLAW.COM/READ-BOOK/?ID=2372](http://heraldoflaw.com/read-book/?ID=2372)

¹⁸ International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families Adopted by General Assembly resolution 45/158 of 18 December 1990 <https://www.ohchr.org/sites/default/files/cmw.pdf>

წევრების უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე შექმნილია ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის კომიტეტი, რათა განახორციელოს სწორედ ამ კონვენციით აღიარებული უფლებების მონიტორინგი. კონვენციის 72-ე მუხლის შესაბამისად, მიგრანტი-მუშების უფლებების დაცვის კომიტეტის წევრების პირველი არჩევნები ჩატარდა 2003 წლის 11 დეკემბერს, 6 თვის შემდეგ, რაც 2003 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა კონვენცია. მონაწილე სახელმწიფოებმა პირველი ანგარიში უნდა წარადგინონ კონვენციასთან მიერთებიდან ერთი წლის ვადაში და შემდგომში, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული კონვენციის წევრი არის 58 სახელმწიფო¹⁹, კომიტეტიც სწორედ მის საფუძველზე შეიქმნა და მასში დეტალურადაა გაწერილი კომიტეტის კომპეტენცია, ფუნქციები, მექანიზმები და სტრუქტურა. კონვენციის მოწაწილე სახელმწიფოების აწალიზი მარტივი დასაწახაია, რომ ძალაში შესული კონვენციის ხელშემკვრელთა შორის ვერ ვხედავთ ვერც ერთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოს, რომელიც საერთაშორისო მიგრაციის მთავარი დაწინაურების 7 ბოჭორიშვილი, წინო, 2021, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო რეგიონალური და უნივერსალური სახელმწიფოებო ორგანოები და მათი მნიშვნელობა, საერთაშორისო სამეცნიერო ქვეყანაა. რის გამოც კომიტეტი ეფექტურ საქმიანობას ვერ ახორციელებს. მით უფრო იმ ფონზე, რომ კონვენციის 76-ე და 77-ე მუხლები, რომლის იურისდიქციაც წევრ სახელმწიფოებს აღიარებული არ აქვთ და შესაბამისად კომიტეტი ვერ ახორციელებს აღწიშნული მუხლებით გათვალისწინებულ ქმედით ფუნქციებს, როგორცაა ინდივიდუალური საჩივრების 36 სახელმწიფოთაშორისო განცხადებების განხილვა სხვა წევრი სახელმწიფოების მხრიდან კონვენციის შეუსრულებლობის შესახებ.

აღწიშნული კონვენციის 77-ე მუხლის შესაბამისად, კი წევრ სახელმწიფოს შეუძლია აღიაროს კომიტეტის კომპეტენცია, მიიღოს ინდივიდუალური საჩივრები სახელმწიფოების წინააღმდეგ, როდესაც დაირღვევა კონვენციით განსაზღვრული ადამიანის უფლებები. მწიშწველოვანია ის ფაქტი, რომ აღწიშნული მუხლი არ არის ძალაში შესული, სწორედ იმის გამო, რომ დღემდე მხოლოდ ხუთმა სახელმწიფომ აღიარა აღწიშნული მუხლის იურისდიქცია²⁰, იმისათვის, კი რომ ის ძალაში შევიდეს სულ მცირე ათი სახელმწიფოს აღიარება საჭირო. კონვენციის 76-ე მუხლის შმალით კომიტეტს ენიჭება უფლებამოსილება მიიღოს და განიხილოს წევრი-სახელმწიფოებისაგან საჩივრები სხვა წევრების წინააღმდეგ, რომლებიც არ ასრულებენ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს. ეს მუხლიც, ასევე, არ არის ძალაში შესული. შესაბამისად ვიღებთ ორგანოს, რომელიც იმის ნაცვლად, რომ იყოს უწიკალური თავის კომპეტენციითა და ეფექტურობით, საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონედ გვევლინება. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უნივერსალური ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ არის მოწოდებული დაიცვას მიგრანტი მუშებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებები და ამ უფლებების დაცვის გარანტად გამოვიდეს, არ გააჩნია რეალური ქმედითი ღოწისმიებების გატარების საშუალებები. კონვენციის ძირითადი მუხლები, რომლებიც მას ამ უფლებამოსილებით აღჭურვავს დღემდე არ არის შესული ძალაში.

გლობალური მიგრაციის აწალიზი აჩვენებს, რომ მიგრაციის პრობლემების გადასაჭრელად საკმარისი არ არის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული უნივერსალური თუ რეგიონალური საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვაზეა

¹⁹ UN Treaty Collection, International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of their Families. https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=IND&mtmsg_no=IV-13&chapter=4

²⁰ ეკვატორი, სალვადორი, მექსიკა, თურქეთი და ურუგვაი. https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=IND&mtmsg_no=IV-13&chapter=4

ორიენტირებული, მაიწვ გვაქვს მალადობისა და ქსეწოფობიის ზრდა. სწორედ ამიტომ მწიშვნელოვანია პრობლემის გააზრება და ადამიანის უფლებათა ეკვადორი, სალვადორი, მექსიკა, თურქეთი და ურუგვაი. პრაქტიკული განხორციელების მიზწით მექანიზმების შექმნა. ასეთი ქმედითი მექანიზმების შექმნა, დაწერგვა და განხორციელება შესამლებელია მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოთა მაქსიმალური ჩართულობით.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

გამოკითხულთა წაწილის მოსაზრებით გლობალური მიგრაცია დადებით გავლენას ახდენს უმადლესიი განათლების ინეტერწაციონალიზაციაზე, ვინაიდან იგი ხელს უწყობს სტუდენტების მომზადებას, როგორც ეროვნულ ასევე გლობალურ დონეზე, რაც მეტი პერსპექტივის მქონე პერსონას ქმნის. ასევე ეს არის შესამლებლობა სტუდენტებისთვის, რომ განავითაროს ისეთი მწიშვნელივანი უწარები საერთაშორისო ასპექტში, რაც წაადგება როგორც მათ, ასევე მის ქვეყანასაც.

ასევე გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უმადლეს სასწავლებელში სწავლების პერიოდი იმითიც არის მიმზიდველი და საინტერესო, რომ უმეტესობა მათგანს სწორედ ამ დროს ემლება რეალური შანსი, წავიდეს საზღვარგარეთ. იცხოვროს, ისწავლოს და გახდეს რეალურად დამოუკიდებელი. გამოსცადოს საკუთარი თავი ახალ და უცხო გარემოში და საქართველოში დაბრუნებულმა თან ახალი ცოდნა, გამოცდილება და დაუვიწყარი შთაბეჭდილებები და მოგონებები ჩამოიტანოს.

გამოკითხულთა ნაწილის აზრით საქართველოში მალიან მომრავლდა უცხო ქვეყნის სტუდენტები ვინაიდან მათთვის აქ სწავლა არის მალიან კომფორტული. მთელი სალექციო. პროცესები მათ უტარდებათ ინგლისურ ენაზე რაც მათთვის კომფორტულია ვინაიდან არ უწევთ ისწავლონ ქართული გH. მოგეხსენებათ, ინგლისური საერთაშორისო ეწად არის მიჩნეული, შესაბამისად ამ ეწაზე სწავლებიდან გამომდინარე მატულობს უცხოურის სუდეწტების ჩამოსვლა და სწავლა ქართულ უწივერსიტეტებში. ვფიქრობ დროთა ცვლის ფონზე ახლო მომავალში, უფრო გაიზრდება ჩამოსულ სტუდენტთა რაოდენობა, თუ ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემა სრულად მოერგება საერთაშორისო სტანდარდებს.

გამოკითხულთა წაწილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, კვლევითი პროექტები შეფასდეს უცხოელი მკვლევარების მიერ, ყოველგვარი წეპოტიზმის გარეშე. გამოკითხულის აზრით სწორედ წეპოტიზმი არის მთავარი პრობლემა საერთაშორისო კვლევების განხორციელების პროცესში.

გამოკითხულთა წაწილის აზრით აუცილებელია საქართველოდან გასული აქეთ ჩამოსული მეცნიერ-მკვლევარების ბაზების შექმწა ვინაიდან თვალსაჩინო გახდეს თუ რა მთელი რიგი კვლევები და წაშრომები იქნა შექმწილი ამ პერიოდის განმავლობაში.

გამოკითხულთა წაწილის აზრით კი მიგრაცია მალიან სეწსიტუური თემაა, სწორედ ამიტომ მიაჩნია რომ უწდა არსებობდეს მიგრაციის საკითხების შესწავლისთვის რაიმე საგაწმაწათლებლო პროგრამა ვიწაიდან უფრო წათელი გახდეს უშუალოდ ის მექაწიზმები რაც მიგრაციას უწყობს ხელს, ხოლი რაც მეტი სტუდენტი იქნება ჩართული ამ საგანმანათლებლო პროგრამებში მეტად შესამლებელი იქნება ქართველ სტუდენტებისთვის ეტაპობრივად

დაიწერგოს ის მექანიზმები საქართველოშიც რაც ასე მოსწონთ მათ უცხოურ უნივერსიტეტებში.

დასკვნა/რეკომენდაცია

განხორციელებული კვლევის შედეგად შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის კუთხით მწიშვნელოვანია არსებობდეს მიგრაციის საკითხების სრულფასოვანი შესწავლის მიზნით მრავალფეროვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც მიგრაციის თემატიკა სტუდენტებს შეეთავაზებათ სასწავლო კურსის სახით.

იმისათვის, რომ საქართველო მზად დახვდეს ახალ გამოწვევებს, საჭიროა კვალიფიციური კოწკურენტუნარიანი კადრების მომზადება და მათი ინტეგრირება შესაბამის უწყებებში, რასაც მწიშვნელოვანად შეუწყობს ხელს ქვეყანაში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე სასწავლო კურსები, რომლებიც სიღრმისეულად შეასწავლის ქართველ და უცხოელ სტუდენტებს მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. რაც ერთიანობაში მწიშვნელოვანად გაზრდის უმაღლესი გაწათლების ინტერნაციონალიზაციას, უცხოელი სტუდენტების რიცხვს ჩვენს ქვეყანაში, ასევე ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციით მიგრანტები სარგებლობენ თაწაბარი მოპყრობით დასაქმებული სახელმწიფოს მოქალაქეების მზგავსად საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1990 წლის ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე შექმწილია ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის კომიტეტი, რათა განახორციელოს სწორედ ამ კონვენციით აღიარებული უფლებების მონიტორინგი. მიგრანტ მუშაკთა და მათი. ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციაზე საქართველოს ხელმოწერა არ გაუკეთებია. აღსაწიშნავია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ არის მოწოდებული დაიცვას მიგრანტი მუშებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებები და ამ უფლებების დაცვის გარანტად გამოვიდეს, არ გააჩნია რეალური ქმედითი ღონისძიებების გატარების საშუალებები. კონვენციის ძირითადი მუხლები, რომლებიც მას ამ უფლებამოსილებით აღჭურვავს დღემდე არ არის შესული ძალაში.

ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ მიგრაციის პრობლემების გადასაჭრელად საკმარისი არ არის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული უნივერსალური თუ რეგიონალური საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. მწიშვნელოვანია პრობლემის გააზრება და ადამიანის უფლებათა პრაქტიკული განხორციელების მიზნით მექანიზმების შექმნა. ასეთი ქმედითი მექანიზმების შექმნა, დაწერგვა და განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოთა მაქსიმალური ჩართულობით.

სწორედ ამიტომ სასურველია საქართველომ დაიწყოს მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახის

წევრთა უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციაზე ხელმოწერის პროცედურა, რაც პირველ რიგში ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობას მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. World Migration Report 2020. Chapter 2 - Migration and Migrants: A Global Overview. IOM. https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2020_en_ch_2.pdf
2. „საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი“, მსსკ. http://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf
3. ავტორთა ჯგუფი, ე. ალავერდოვი, თ. დარჩია, წ. ოთხოზორია, წ. ლაცაბიძე, წაშრომი „მიგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოში: გამოწვევები და პერსპექტივები“. კრებული, „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისაქტუალური პრობლემები“ საქართველოს ტექნიკური წივერსიტეტი. 2020. <https://drive.google.com/file/d/1nU7QuFbZkMsmLSjutuJ7F24TSM7YknCh/view?usp=sharing>
4. საქართველოს 2021 – 2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება N810, 2020 წლის 30 დეკემბერი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5074437?publication=0>
5. „ევროპული სამეზობლო პოლიტიკა“ - 2003 წ.; „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა“ და „პარტნიორობა მობილობისთვის“- 2009 წ.; „ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივებისა“ და „რეადმისიის“ შესახებ შეთანხმებები – 2010 წ.; „სავიზო დიალოგი“ – 2012 წ.; „ვიზალიზერალიზაციის სამოქმედო გეგმა“ – 2013-15 წწ.; „ასოცირების შეთანხმება“ – 2014 წ.; უვიზო მიმოსვლა და VLAP-ის გრძელვადიანი დავალებების განხორციელება - 2017 წ. და შემდგომ.
6. მიგრაციის საკითხთა. სამთავრობო: კომისია http://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0
7. ISET-ის კვლევის თანახმად, უცხოელი სტუდენტები ყველაზე მეტს, 28 მილიონ აშშ დოლარს, სწავლის საფასურში და 16.7 მილიონ აშშ დოლარს საცხოვრებელი ფართის ქირაში იხდიან. საქართველოში უცხოელი სტუდენტების ჯამური წლიური ფინანსური ხარჯი 195 მილიონ ლარს აღწევს. „მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი - უცხოელი სტუდენტები საქართველოში“, alsb3, 2017 წ. http://migration.commission.ge/files/migraciis_profil_i_a5_geo.pdf
8. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი <https://kiu.edu.ge/geo/about-us>
9. Bochorishvili, Nino. 2023. Global Migration, Discrimination, and the Internationalization of Higher Education, Handbook of Research on the Regulation of the Modern Global Migration and Economic Crisis. <https://www.igi-global.com/chapter/global-migration-discrimination-and-the-internationalization-of-higher-education/318768>
10. ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო <https://eqe.ge/ka/page/parent/787/erovnuli-kvalifikatsiebis-charcho>
11. საგაწამაწათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბქოს 2019 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება. <https://eqe.ge/media/11541/N11514.05.2019.pdf>
12. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732?publication=3>
13. საქართველოს 2021 – 2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება M810, 2020 წლის 30 დეკემბერი

- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5074437?publication=0>
14. UNITED NATIONS HUMAN RIGHTS office of the high commissioner
<https://indicators.ohchr.org>
 15. ბოჭორიშვილი, წინო, 2021, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო რეგიონალური და უნივერსალური სახელმძღვანელო ორგანოები და მათი მწიშვნელობა, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი სამართლის მაცნე.
<HTTP://HERALDOFLAW.COM/READ-BOOK/?ID=2372>
 16. International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families Adopted by General Assembly resolution 45/158 of 18 December 1990
<https://www.ohchr.org/sites/default/files/emw.pdf>
 17. UN Treaty Collection, International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of their Families. https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=IND&mtdsg_no=IV-13&chapter=4
 18. ეკვადორი, სალვადორი, მექსიკა, თურქეთი და ურუგვაი.
https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=IND&mtdsg_no=IV-13&chapter=4

Internationalization of Higher Education in the Context of Migration

Nino Botchorishvili

Professor of Georgian International University GIU,

Doctor of Laws

nino.botchorishvili@giu.edu.ge

DOI: <https://doi.org/10.61950/giu.1.2025.9318>

Abstract

One of the characteristics of external migration in the context of globalization is international migration for the purpose of education. International migration mainly affects the population of developing countries, the main motive for movement is the desire to obtain a foreign education. Migration for educational purposes has both positive and negative consequences.

Population migration in the modern world is a global process. This is the result of economic, political, social and cultural transformations. In the modern world, globalization, which covers not only developed countries but also third world countries, has brought migration to a completely new level, making it the most important component of the activities of any state.

Considering the processes of globalization and for the further development of the country, it is important to promote international mobility in the field of higher education and science, as well as the internationalization of higher education and science, which, on the one hand, is accompanied by flows of Georgian students and scientists to educational institutions in foreign countries, and on the other hand, an increase in the number of educational programs in foreign languages and foreign students in Georgia.

The aim of this study is to discuss the issues related to global migration, internationalization of higher education in the process of migration, analyze existing problems and propose solutions.

Key words: global migration, international mechanisms, higher education, internationalization.

Introduction

Relevance of the study

Migration is the process of movement of population both within the country and beyond its borders for permanent or temporary residence. The result of migration is the spread of different cultures, religious and national traditions. Global migration affects not only relations between states, but also the lives of the population as a whole. Therefore, one of the main tasks of any state is the development and implementation of an effective migration policy aimed at eliminating the negative consequences of

migration processes.

Migration of the population today is acquiring a global character and at the same time is a sign of globalization itself. Globalization itself is a process of unification of peoples and states, which leads to the erasure of borders between peoples and the creation of a unified political, economic and spiritual space. The process of globalization facilitates access of all mankind to new inventions, technologies, knowledge, removes prohibitions and restrictions for development and creativity, therefore globalization is systemic in nature, covers all spheres of society.

International migration processes for the purpose of education are carried out mainly in the direction of developed countries, since the standard of living in the leading countries of the world is significantly higher than in other countries. Migration for educational purposes has both positive and negative consequences. The prospect of people with better education obtained abroad returning to the country can be assessed positively, although often emigrants not only avoid returning to their homeland, but also look for close relatives to settle down with and try to stay in the countries where they received their education. Thus, the results of migration, as we see, are manifested in different areas and can be both positive and negative. From this point of view, one of the main tasks of countries in the era of globalization is the development of an effective migration policy that clearly regulates migration processes to ensure conflict-free and prosperous development of countries, their further economic, political, cultural development and social well-being.

Objectives of the study:

The objective of the study is to analyze the problems of Georgian reality in the direction of developing higher education programs for the internationalization of higher education in the context of global migration and to propose solutions for studying migration issues.

Advantages of Research:

A high degree of stakeholder involvement is essential to ensure the quality, visibility and, most importantly, effectiveness of any research. All this is possible with the maximum involvement of various representatives of society and the exchange of their opinions.

Limitations of the study:

